საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 22 იანვარი, 2013 წელი.

№12 (7139)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვიზიტი მოსკოვში

პატრიარქებს თანამშრომლობისა ეიმედებათ

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი იმედოვნებს, რომ რუსეთისა და საქართველოს ეკლესიები თანამშრომლობით გადალახავენ მოძღვრებთან დაკავშირებულ პრობლემას, რომელიც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში აღმოცენდა, — იუწყება „ინტერფაქსი“.

სააგენტოს ცნობით, აღნიშნული განცხადება პატრიარქმა კირილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან შეხვედრისას გააკეთა.

შეხვედრისას ილია მეორემ პატრიარქ კირილს მადლობა გადაუხადა, რომ მოსკოვის საპატრიარქო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთობას აფხაზეთსა და ცხინვალში.

მისივე თქმით, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებული პრობლემების მიზეზი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხს ეფუძნება.

— მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ახლო მეგობრები. ჩვენს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთგაგება ყველა საკითხზე, აფხაზეთისა და ცხინვალის ჩათვლით. რუსეთს სჭირდება ერთიანი საქართველო, საქართველოს კი — ერთიანი ძლიერი რუსეთი. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, ამიტომ, ეს საკითხი ადრე თუ გვიან უნდა გადაწყდეს. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია არა მხოლოდ რუსეთისა და საქართველოსთვის, არამედ აფხაზეთისა და ოსეთისთვის, — ბრძანა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქის რეზიდენციაში.

* * *

რუსეთის პატრიარქი მოხარულია, რომ „მშვიდობიანად და ხალხის თავისუფალი არჩევანის გზით საქართველოში ხდება ცვლილებები, რომელზეც ბევრი იმედებს ამყარებს“ , — იუწყება „ინტერფაქსი“.

— დაე, ამ ვიზიტმა თავისი მაცოცხლებელი წვლილი შეიტანოს ჩვენს ქვეყნებსა და ერებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში, — განაცხადა პატრიარქმა კირილმა მოსკოვში, ილია მეორის საკუთარ რეზიდენციაში მიღებისას.

რუსეთის პატრიარქმა ილია მეორეს ქართველი ერის სულიერი ლიდერი უწოდა, რომელმაც, მისივე თქმით, განსაკუთრებით ბევრი იშრომა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნის წლებში.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ქართველი მეფეების, ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ის ნეშტების საქართველოში გადასვენების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს საკითხი ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის შედეგად უნდა გადაწყდეს.

როგორც რუსეთის პატრიარქმა აღნიშნა, ამ საკითხზე მომუშავე კომისიამ უნდა შეაგროვოს აუცილებელი ინფორმაცია, გაერკვეს რთულ საკითხებში, გაიტანოს ეს თემა საჯარო განხილვაზე და გამოიკითხოს საზოგადოებრივი აზრი რუსეთში.

— მიმაჩნია, რომ ამგვარმა ქმედებამ საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე შესაძლოა, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობაც დააზარალოს. დარწმუნებული ვართ, კომისია მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს. სამუშაოს ეფექტურობის ზრდის მიზნით, მზად ვართ მასთან თანამშრომლობისთვის და ვილოცებთ, რომ მათ მუშაობა სწრაფად დაასრულონ, — აღნიშნა პატრიარქმა კირილმა.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის!

ეს მან გუშინ სტრასბურგში ერთხელ კიდევ დაამტკიცა ახალი ხელისუფლების მიმართ აგრესიულ-პროვოკაციული გამოსვლით!

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინფორმაცია

დავოსში ბიძინა ივანიშვილისა და დიმიტრი მედვედევის შეხვედრა დაგეგმილი არ არის

დავოსში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელის დიმიტრი მედვედევის შეხვედრა დაგეგმილი არ არის. ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა.

— დაგეგმილი არაფერი არ არის. ამაზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

დავოსში ვიზიტის პერიოდში ბიძინა ივანიშვილი შეხვედრებს გამართავს რამდენიმე ქვეყნის პირველ პირთან, მათ შორის უკრაინის, შვეიცარიის და პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურებთან. საქართველოს პრემიერი გაეროს გენერალურ მდივანსაც შეხვდება.

დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 23 იანვარს იხსნება და მასში მონაწილეობას ქართული დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მიიღებს.

ვახტანგ ხმალაძე: უკეთესი იქნება, თუ შემოდგომაზე ახალი პრეზიდენტი პირდაპირი წესით აღარ აირჩევა

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, „რესპუბლიკელები“ წევრის ვახტანგ ხმალაძის აზრით, უკეთესი იქნება, თუ შემოდგომაზე ახალი პრეზიდენტი პირდაპირი წესით აღარ აირჩევა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხმალაძემ განუცხადა, დაგეგმილია სერიოზული ცვლილებები კონსტიტუციის იმ ნაწილში, რომელიც პარლამენტს, პრეზიდენტს, მთავრობას ეხება, რათა ბოლოს და ბოლოს ქვეყანაში გაწონასწორებული, ისეთი სახელისუფლო მოდელი არსებობდეს, როდესაც არც ერთ განშტოებას ზედმეტი უფლებები არ ექნება.

მისივე განმარტებით, ამ რეფორმის ერთ-ერთი საკითხი სახელმწიფოს მეთაურის — პრეზიდენტის არჩევის წესია, რადგან საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი აღარ არის, ვერ ერევა მთავრობის საქმიანობაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში საერთოდ აღარ მონაწილეობს, მას უფრო არბიტრის ფუნქცია აქვს და ძირითადად არასამთავრობო სტრუქტურების ფორმირებაში მონაწილეობს.

როგორც ხმალაძე აღნიშნავს, ევროპის ქვეყნებში პრეზიდენტი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არაპირდაპირი წესით, არა ამომრჩევლების მიერ, არამედ პარლამენტის ან ამრჩევთა კოლეგიის მიერ აირჩევა ხოლმე, რომელიც პარლამენტის წევრებისა და კიდევ სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების დელეგატებისაგან შედგება.

დეპუტატს არ აქვს ერთმნიშვნელოვანი პასუხი იმაზე, შემოდგომაზე რა ფორმით იქნება პრეზიდენტი არჩეული. მისი თქმით, ეს მოდელის არჩევისას გადაწყდება.

ზუგდიდში პრეზიდენტის რეზიდენციის წინ კარავი გაშალეს

ზუგდიდში პრეზიდენტის რეზიდენციის წინ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით კარავი გაშალეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, კარავი გაშალეს პრეზიდენტის რეზიდენციის შესასვლელთან. კარავი 25 კაცზეა გათვლილი. კარავის გაშლის პროცესს „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი წევრი კახა მიქაია ხელმძღვანელობდა.

აქციაზე, რომელიც პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით იმართება, 30-მდე მოქალაქე მონაწილეობს, მათ შორის არიან ზუგდიდის ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის შენობაში მცხოვრები დევნილები. ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის შენობა პრეზიდენტის რეზიდენციის გვერდით მდებარეობს.

ფონდი „ქართუ“ კახეთში კომპენსაციების გაცემას დღეიდან დაიწყებს

ფონდი „ქართუ“ კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემას დაიწყებს. როგორც „ინტერპრესნიუსს„ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაგდა პოპიაშვილმა განუცხადა, ფონდ „ქართუს“ ბენეფიციართა 10%-ის სია გადაეგზავნება. ფონდი მოამზადებს მათ სახელზე ანგარიშებს, ამავდროულად, გამგეობის შენობებში გამოქვეყნდება დაზარალებულთა იმ 10%-ის სია, რომელთა შესახებ მონაცემები „ქართუს“ უკვე ექნება. ხვალიდან, ფონდი „ქართუ“ მათ სახელზე კომპენსაციების გაცემას დაიწყებს.

ამასთან, დანარჩენი დაზარალებულების სიების გადაგზავნა ფონდ „ქართუსთვის“ ეტაპობრივად მოხდება. ბენეფიციართა მომდევნო 10%-ის სიის გაგზავნა კვირის ბოლოსთვის იგეგმება.

კახეთის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ფონდი „ქართუ“ 100 მილიონ ლარამდე გამოყოფს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, კომპენსაცია კახეთის ხუთ რაიონში, 28 500 ოჯახზე განაწილდება. კახეთის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის თენგიზ შერგელაშვილის ცნობით, დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის ოდენობა 100 ლარიდან რამდენიმე ათას ლარამდე განისაზღვრა.

ფონდ „ქართუს“ აღმასრულებელი დირექტორის ნიკო ჩხეტიანის თქმით, სოფლის მეურნეობის ზარალის ასანაზღაურებლად ფონდმა 95 მილიონი ლარი გამოყო, ხოლო სახურავების შესაკეთებლად დამატებით 5 მილიონ ლარამდე გადაირიცხება. მისივე განცხადებით, ჯამში ფონდი „ქართუ“ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დაახლოებით 100 მილიონ ლარამდე გამოყოფს.

ინტერპრესი

20 იანვარს მიხელ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, პრეზიდენტის სასახლესთან გამართული აქციის მონაწილეები პრეზიდენტის პოსტის დაკავებას დროებით პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს სთხოვენ. მათი განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტი აღარ არის. როგორც აქციის ორგანიზატორები, კოალიცია „ერთსულოვნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, პარლამენტმა ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად მზადება უნდა დაიწყოს. აქციაზე ყოფილი პოლიტპატიმრები და პატიმართა წამების ამსახველი კადრების ავტორი ვლადიმერ ბედუკაძეც მივიდნენ. აქციას რეგიონებიდანაც შეუერთდნენ. მათი თქმით, დღეიდან, ათი დღის განმავლობაში, პრეზიდენტის სასახლესთან პერმანენტული აქციები გაიმართება.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის!

კოალიცია „ერთსულოვნების“ განცხადება

ჩვენ, კოალიცია „ერთსულოვნება“, სადაც გაერთიანებულია სამოცდაათამდე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ერთ მილიონზე მეტ ხელმომწერ, საქართველოს მოქალაქეთა და ქვეყნის უზენაესი კანონის, საქართველოს კონსტიტუციის სახელით, ვაცხადებთ:

საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს 2013 წლის 21 იანვრიდან, კონსტიტუციის 70-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ეწურება საპრეზიდენტო უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა და იგი 20 იანვრის 24:00 საათიდან საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის!!!

აღნიშნული მომენტიდან საქართველოს პრეზიდენტის რანგში მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ჩაითვლება ხელისუფლების მითვისებად.

ყველა ვინც მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს მოიხსენიებს საქართველოს პრეზიდენტის რანგში, დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციას.

მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას და გააკეთოს განცხადება თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შესახებ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ვადის ამოწურვით განპირობებული საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის გამო და ხელისუფლების უწყვეტობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სახელით ვაცხადებთ: პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება უნდა დაეკისროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

* * *

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე!

ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, გთხოვთ გაითვალისწინოთ თქვენი ამომრჩევლების, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოხატული ნება და შეუდგეთ კონსტიტუციით თქვენდამი დაკისრებულ, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

ეთხოვოს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, უზრუნველყონ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, როგორც საკანონმდებლო, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუციის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების, პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად, მიხეილ სააკაშვილის მიერ, საპრეზიდენტო უფლებამოსილების უზურპაციის შემთხვევაში, თხოვნით მივმართავთ საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებს, მოახდინონ შესაბამისი ადეკვატური რეაგირება.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სახელით, მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მასში გაერთიანებულ ყველა სახელმწიფოს მეთაურებს, საქართველოში აკრედიტირებულ მათ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებს და ევროპის საპარლამანტო ასამბლეას, თქვენი სიძლიერე არის არა მარტო იმაში, რომ თქვენ პატივს სცემთ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციას,არამედ იმაშიც, რომ პატივს მიაგებთ სხვა ქვეყნების კონსტიტუციებსაც. ამიტომ პატივი ეცით საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას განსაზღვრავს ხუთი წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ არავის გვაქვს უფლება მიხეილ სააკაშვილი მოვიხსენიოთ საქართველოს პრეზიდენტის რანგში.

ეს არის სამართლიანობაც და ეს არის ღირსებაც.

კოალიცია „ერთსულოვნება“
2013 წლის 20 იანვარი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აქტუალური საუბარი

ბიძინა ივანიშვილი:

ვფიქრობ, რკინიგზის აფხაზური მონაკვეთი აუცილებლად გაიხსნება

— როგორ აფასებთ სომხურ-ქართულ ურთიერთობებს და როგორ პერსპექტივებს ხედავთ ჩვენს ურთიერთობებში?

— მიმაჩნია, რომ სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები შეიძლება, ნორმალურად, კარგადაც კი ჩაითვალოს. მომავალის შესახებ ჩვენ თქვენს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ ორივე მხარე განწყობილია იმისთვის, რომ ჩვენი ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია იდეალური გახდეს. აი, ამისკენ ვისწრაფვი პირადად მე და ჩვენი ახალი ხელისუფლება და იგივე ვიგრძენი სომხეთის ხელისუფლებიდანაც — პირადად პრეზიდენტისგან, პრემიერ-მინისტრისა და მთელი მთავრობისგან. ვეცდებით, რომ ჩვენი ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდეს.

— მსურს, მთიანი ყარაბაღის შესახებ გკითხოთ, ბოლო დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებასთან დაკავშირებით სკანდალი აგორდა. როგორია საქართველოს პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით? ჩვენთან შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველო როგორღაც უფრო მეტად აზერბაიჯანულ მხარეს უგებს, ეს ასეა?

— ჩვენ ორივე მხარის გვესმის და ვთვლით, რომ უბედურება მოხდა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს. ჩვენ განცხადებებში ფრთხილი უნდა ვიყოთ, რომ ხელი არ შევუშალოთ. სხვათა შორის, მე ვიყავი აზერბაიჯანში და პრეზიდენტ ალიევს ვესაუბრე, მე ვიცი მათი პოზიცია. მე მათ ვკითხე, არიან თუ არა დაინტერესებული, რომ სომხეთმა ეს საკითხი დააყენოს და მიპასუხეს, რომ დიახ, მოხარულიც კი იქნებიან. მე ვისაუბრე სომხეთის პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან და, სამწუხაროდ, ვიგრძენი, რომ ჯერჯერობით პოზიცია ძალიან შორსაა. მხედველობაში მაქვს აზერბაიჯანისა და სომხეთის პოზიცია. ჩვენ ახლო მეგობრები და მეზობლები ვართ, უნდა ვიყოთ ფრთხილად და გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ პროცესის მშვიდობიან დარეგულირებას ხელი არ შევუშალოთ, არამედ მხოლოდ შევუწყოთ. სამწუხაროდ, ჩემი პირველი ვიზიტის დროს ბევრის გაკეთება ვერ შევძელი, მხოლოდ პრობლემებზე ვისაუბრე. ჩემი სურვილი და მოწოდებაა ორივე სახელმწიფოსადმი: საჭიროა, გაკეთდეს ყველაფერი, რომ ორ მეზობელ სახლემწიფოს შორის პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყდეს.

— ბატონო ბიძინა, პრეზიდენტი სააკაშვილი ჯავახეთში რეფორმებთან დაკავშირებით ძალიან ბევრს საუბრობდა. აქვს თუ არა თქვენს მთავრობას რაიმე სახის გეგმა აღნიშნულთან დაკავშირებით?

— ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჯავახეთში იმისთვის, რომ იქ მცხოვრებმა ეთნიკურმა სომხებმა თავი საკუთარ სამშობლოში იგრძნონ. ამისთვის ვიმყოფებოდი იქ, იყო ძალიან თბილი შეხვედრები. სხვათა შორის, მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და სომხურ დიასპორას მადლობა გადავუხადო — საქართველოს ისტორიაში ოპოზიციას ეთნიკური სომხებისგან ამდენი ხმა არასოდეს მიუღია. მე მათ ბევრი დაპირება მივეცი, მათ ჩამოთვლას არ დავიწყებ, თუმცა ვპირდები და გარანტიას ვაძლევ, რომ „ბურთი“ ჩემს მხარესაა, ჩვენ ყველაფერს მაქსიმალურად ვაკეთებდით, ვცდილობდით და ვისწრაფვოდით. პირველ რიგში, მათ საკუთარ მომავალს მისცეს ხმა და გრძნობდნენ, რომ მომავალი უკეთესი იქნებოდა. მე მათ სიტყვა მივეცი და ყველაფერს გავაკეთებ, იმაზე მეტსაც კი, ვიდრე დავპირდი, რათა მათ ღირსეულად იცხოვრონ.

— როგორ ფიქრობთ, სჭირდება თუ არა რაიმე სახის სტატუსი სომხურ ეკლესიას საქართველოში?

— მთავარია, რომ ჩვენ ყველაფრის შესახებ ვსაუბრობთ. მე ვესაუბრე პრემიერს ამასთან დაკავშირებით, ვისაუბრე პრეზიდენტთან იმ საკითხის შესახებ, რომელიც ორივე მხარეს არსებობს. ჩემი აზრით, მე რაღაც ახალი ინიციატივა გავაჟღერე, ხუმრობით, პრეზიდენტმაც და პრემიერმაც აღნიშნეს, რომ ეს ინიციატივა დასჯადია, რაზეც მე ვუპასუხე, რომ მზად ვარ, დასჯადი იყოს. ვიდრე კომისია ეკლესიების წარმომავლობის საკითხს განიხილავს, მე გამოვთქვი ინიციატივა, რომ დიდი ხნის წინათ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდის წყალობით, რომელმაც აღადგინა და რესტავრაცია ჩაუტარა 500-ზე მეტ არქიტექტურულ ძეგლს საქართველოში, იმის მიუხედავად, როდის ვაღიარებთ ამ ძეგლების წარმომავლობას, ხვალიდანვე მზად ვარ, ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე სადავო ეკლესიების რესტავრაცია დავიწყო და წესრიგში მოვიყვანო. სხვათა შორის, მათ შორის ორში, რომლის შესახებაც სომხები საუბრობენ, უკვე დაიწყო მუშაობა სწორედ ამ ფონდის დახმარებით. პარალელურად კომისია ორივე მხრიდან დაიწყებს წარმომავლობის გამორკვევას, შესაძლოა, არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდეს, რომლის დასაფინანსებლად ამავე ფონდიდან მზად ვარ. მოხარული ვიქნები, თუ ეკლესიები რესტავრირებული იქნება, იმის მიუხედავად, სომხურია იგი თუ ქართული.

ვფიქრობ, ინიციატივა კარგი იყო, იგი კარგად იქნა აღქმული სომხეთის პრეზიდენტისგან. ვფიქრობ, უახლოეს დღეებში ჩვენ შევქმნით კომისიას ორივე მხრიდან, დავიწყებთ ამ ძეგლების აღდგენისა და რესტავრაციის პროცესს და პარალელურად მათ წარმომავლობას დავადგენთ. ჩემი მხრივ, მე პირადად, ჩემი ჯგუფი, კულტურის მინისტრი, ინტელიგენცია, ეკლესია არ შევშინდებით და არ შეგვრცხვება, თუ ამ ეკლესიების სომხური წარმომავლობა დადასტურდება და გარწმუნებთ, რომ ჩვენ პროცესებს არ შევაჩერებთ. მე იგივე პატივისცემა მექნება ამ ძეგლების მიმართ მათი წარმომავლობის მიუხედავად და ვფიქრობ, იგივე იქნება სომხური მხარისგანაც.

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, რკინიგზის შესახებაც ვისაუბროთ. როგორ ფიქრობთ, გაიხსნება თუ არა აფხაზური რკინიგზა?

— ვფიქრობ, აუცილებლად გაიხსნება. ჩვენ დღეს ეს საკითხი ორჯერ თუ სამჯერ დავაყენეთ. ჩვენი მხრიდან სრული მზადყოფნაა. თქვენ იცით, რომ რკინიგზის დახურვა დიდ უბედურებას, უზარმზარ ისტორიას უკავშირდება, რომელიც ცოტა ხნის წინათ მოხდა. სამწუხაროდ, ჩვენი რუსეთთან ურთიერთობა ჩიხში შევიდა. ჩვენ, ჩვენის მხრივ, დიდ ძალისხმევას ვიჩენთ, რათა ჩიხიდან გამოსვლა დაიწყოს. ვგრძნობ, რომ რუსეთი ამ საკითხს გაგებით ეკიდება. დადებითი სიგნალებია ჩვენი ძმების - აფხაზების მხრიდან. ორ ქვეყანას შორის გლობალური პრობლემების გადაწყვეტა სწრაფად არ არის შესაძლებელი, თუმცა, ჩვენ მზად ვართ, ეტაპობრივად გადავწყვიტოთ რუსეთთან ვაჭრობის, კულტურული ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, სარკინიგზო მიმოსვლის, ხელი შევუწყოთ გლობალური პრობლემის გადაწყვეტას. შესაბამისად, ჩვენ სრულ მზადყოფნას ვაცხადებთ და დადებითად ვართ განწყობილი ამ საკითხისადმი. საჭიროა, რომ სხვა მონაწილეებმა, რომლებზეც ეს ყველაფერია დამოკიდებული — სომხეთმა, რუსეთმა და აფხაზეთმა ასევე მზადყოფნა გამოთქვან და ასეთ შემთხვევაში, ეს საკითხი სწრაფად გადაწყდება.

— სარკინიგზო პროექტის „ყარსი-თბილისი-ახალქალაქის“ შესახებ რას იტყვით?

— ნებისმიერი ახალი გზა სხვადასხვა ქვეყნებს შორის მეგობრული და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, მე მშენებლობას მივესალმები. მახსოვს, პირველ ინტერვიუში განვაცხადე, რომ აქ არის გარკვეული ეკონომიკური საკითხები, ეს აიტაცეს ჟურნალისტებმა და ამბობდნენ, რომ მე ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს ვაკეთებ. მე ძალიან თანმიმდევრული ვარ და ახლაც შემიძლია, გავიმეორო ის, რაც ადრე ვთქვი. ეს ძალიან საინტერესო პროექტია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა, თავდაპირველად შესაძლოა, გარკვეული ეკონომიკური საკითხები წამოიჭრას, იმიტომ, რომ ძველი რკინიგზა შესაძლოა, სრულად არ დაიტვირთოს. ეს არ არის რთული საკითხები და მისი სწრაფად გადაწყვეტა შეიძლება. ნებისმიერი მიმოსვლა, ნებისმიერი დამატებითი გზა მხოლოდ მისასალმებელია. მე ვიცი, რომ თქვენ აშენებთ გზას ირანის გავლით და ჩვენ ამის შესახებაც ვისაუბრეთ.

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, რაც შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკას. როგორ ფიქრობთ, თბილისში რუსეთთან, ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობებში გარკვეული პრიორიტეტები ხომ არ შეიცვლება?

— ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში პრიორიტეტები, ალბათ, არ შეიცვლება. ზოგადად კი, ქვეყნები, ადამიანები და საზოგადოება ვითარდება და პრიორიტეტები იცვლება, თუმცა, არ ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ მათ შევცვლით. ჩვენი პრიორიტეტების შესახებ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ეს არის ევროპა, ევროატლანტიკური ალიანსი, რასაც არ გადავუხვევთ. პარალელურად ჩნდება კითხვა — შესაძლებელია თუ არა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა და ნატოსთან კარგი ურთიერთობა, მისკენ სწრაფვა, ამერიკასთან და ნატოში შემავალ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობები. ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის კარგი მაგალითია სომხეთი, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან და მეგობრობს ამერიკასთან და ნატოს სხვა წევრ ქვეყნებთან. შესაბამისად, ეს ყველაფერი შესაძლებელია.

— რაც შეეხება საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებს. ჩვენ ვიცით, რომ ბატონი ალასანია, თუ არ ვცდები, მასში მონაწილეობას აპირებს. თქვენ ვის მოიაზრებთ საპრეზიდენტო კანდიდატად?

— რამდენად სურს, ალასანიას, სიმართლე გითხრათ არ ვიცი, ეს მეც მხოლოდ გამიგია, მას ჯერჯერობით ჩემთან ამის შესახებ არ უსაუბრია. ეს საკითხი არც კოალიციას განუხილავს. მას, რა თქმა უნდა, აქვს უფლება თუ მოისურვებს, თუმცა, კოალიციაში ამის შესახებ არ გვისაუბრია. ვფიქრობ, ამის შესახებ საუბარი ნადრევია. ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნები არ იქნება ისეთი მწვავე, როგორიც საპარლამენტო იყო. მას არ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც საპარლამენტო არჩევნებს ჰქონდა. ვფიქრობ, ორი თვის შემდეგ კოალიციაში ამ საკითხზე ვიმსჯელებთ და კანდიდატს დავასახელებთ. სავარაუდოდ, კოალიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლება. თითოეულ წევრს, თითოეულ პარტიას აქვს უფლება კოალიციიდან გავიდეს და თავისი კანდიდატი დაასახელოს. თუმცა, ჯერჯერობით, ეს საკითხი დაუმუშავებელია და სიმართლე გითხრათ, ამისთვის ჩვენ ჯერ კიდევ მზად არ ვართ.

მაკა ბრეგვაძე

◎ ალიან-ჩალიანი

მთავრობა ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიმართ დავალიანებას გაისტუმრებს

საქართველოს მთავრობა პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიმართ დავალიანებას გაისტუმრებს.

როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა, საქართველოს პარლამენტმა 2002 წელს მიიღო კანონი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ. ხადურის განცხადებით, ეს ითვალისწინებდა როგორც დაცვის, ასევე კომუნალურ ხარჯებს, მათ შორის სატელეფონო მომსახურებას.

მინისტრის განმარტებით, ეს ხარჯები 2003 წლის ბიუჯეტში ჩაიდო, რაც 130 000 ლარს შეადგენდა.

— თუმცა, მოგეხსენებათ, 2003 წელს საქართველოში იყო საფინანსო კრიზისი და ბიუჯეტმა აღებული ვალდებულება ვერ შეასრულა. გასული წლის დეკემბერში ფინანსთა სამინისტროს მომართა ქალბატონმა მანანა არჩვაძემ და ითხოვს 130 000 ლარის გადაცემას. ჩვენ ვიმსჯელეთ და აბსოლუტურად კანონიერად შესაბამისი აღებული ვალდებულების გასტუმრება ხდება, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჰოდა, ვართ ასე!

ლენინიზმიდან – ფელინიზმამდე

ფეისბუქზე ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა „ამარკორდი“ ახსენა და მივხვდი, რომ ქართველები, ბოლო თვეებია, ფელინის სურათებში გადავსახლდით. ოღონდ ძნელი გასარკვევია, კონკრეტულად, სად ვართ უფრო მეტად – „ორკესტრის რეპეტიცია“, „და გემი მიცურავს“, თუ მართლაც – „ამარკორდში“.

საშინელება თითქოს უკან დარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ შავი ყორანივით მოგვჩხავის და გაურკვევლობის გამოც გროტესკი მძლავრობს. ამას განსაკუთრებულ ტონს აძლევს პრეზიდენტის უსასრულობამდე მისული აბსურდული „ბრიყვინგები“ (შოთა გლურჯიძის ტერმინი), როცა ის არც იმას გვაკლებს, რომ

თავისი თავი დედა ტერეზად და ალექსანდრე მაკედონელად წარმოგვიდგინოს (იანუსივით) და მომავლის ისეთი აპოკალიფსურ სურათებს ხატავს, რომ წესით დედა ტერეზაც და მაკედონელიც ადგილზე დალევდნენ სულს დაზაფრულნი! რა თქმა უნდა, ამას ემატება მისი თანაგუნდელების ქოროს ანალოგიურად ეგზალტირებული კივილ-გალობა. ამ ფონზე ძალიან ჭირს იმაზე კონცენტრირება, რა გზით უნდა წავიდეთ, სად რა შეცდომებია (რომ ახლაც არის, ფაქტია) და საერთოდ, რა უნდა ვაკეთოთ იმისთვის, რომ შეცდომა ნაკლები იყოს და პროგრესი მეტი... მიხეილ სააკაშვილი თავისი შლეგურ-მამობრივი გამოხდომებით მუდმივად გვაცხოვრებს მრუდე სარკეების გარემოცვაში და ჩვენ, თითქოს, მეტი არაფერი გვრჩება, რომ ალისას ასაკში დავბრუნდეთ და ვითამაშოთ.

რადგან სხვა ალტერნატივა ან – უფრო უარესი კაფკაა და სრული სერიოზულობის ფონზე კიდევ უფრო მეტი ტკივილის განცდა თუნდაც იმისგან, რომ შვილდაკარგული დედის სიტყვები – „ჩემი შვილი ანაკლიაში ერთ-ერთ მშენებლობაში ჩააბეტონეს!“ სავსებით შეიძლება, რომ სრული სიმართლე იყოს!,

ან – ის, რომელიც ძმებმა ტავიანებმა დაგვიხატეს ფენომენალურ ფილმში „კეისარი უნდა მოკვდეს“. საქმე იმაშია, რომ არც ჩვენი თავი გვემეტება ამ როლისთვის და არც კეისარი – სიკვდილის შემდეგ გმირობისათვის... სულ უფრო მეშინია იმის, რომ მისივე თანაგუნდელებმა არ მიასაღონ, რათა შემდეგ საბოლოოდ არ აქციონ ნეობოლშევიკური ლიბერალიზმის ახალ ლენინად.

აი, მეორე ჩემი ფრენდის ნააზრევი იმაზე, არის თუ არა საქართველოში დღეს დემოკრატია.

„წიკლაური და ნასარიძე ქუჩაში რომ დადიან და არ ეშინიათ, ვანო რომ ისევ გარეთ არის, ოჩიაურისნაირი ნაძირლები რომ თანამდებობებზე ინიშნებიან“. დემოკრატიაა, აბა, რა არის...“

ძველით ახალ წელს ია ანთაძემ ძალიან კარგი სტატია დაწერა თავის ბლოგზე – „ოპერაცია „აპრილი“, რომელიც ასე მთავრდება:

„ოპერაცია „აპრილის“ ოფიციალურ დახურვამდე კი მხოლოდ იმას გავიმეორებ, რაც ერთხელ უკვე დავწერე: შიში სწრაფად განქარდა, ხალხი გააქტიურდა, მომავლის დაგეგმვაც შესაძლებელი გახდა, არც უიმედობაა, ახალი წელიც დადგა, მაგრამ გულში სიხარული არ არის“...

ვეთანხმები იას, ოპტიმიზმი გაჩნდა, მაგრამ ეს გაურკვევლობა დამთრგუნველია. თან თითქოს სისულელეა იმაზე ფიქრიც კი, რომ ეს უკვე უსასრულოდ ლუსტრირებული და სასაცილოდ ქცეული პრეზიდენტი აპრილისთვის ისევ ფენიქსივით აღდგება ფერფლიდან, მაგრამ თან ეს, წინა პერიოდებისაგან განსხვავებული უფრო დემოკრატიული რეალობა, როცა დამარცხებულები ყინჩად დადიან და მთელი მსოფლიოს გასაგონად დაბოლებას არ იშლიან, მაინც ტოვებს ნერვული ეჭვიანობის საფუძველს. მით უფრო, რომ დღევანდელი კონსტიტუციის თანახმად, ეს სავსებით შესაძლებელია, ხოლო მათი „გაფრენის მაღალი პოტენციალი“ არასდროს ეჭვს არ იწვევდა...

ჰოდა, ვართ ასე... ქუთაისის პორტში შემოცურებული ტრანსატლანტიკური ლაინერის აჩრდილის მოლოდინში!

სოლომონ თევრნალი

◎ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲔᲗ, ᲑᲐᲠᲔᲛ!..

„ᲬᲧᲔ ᲨᲔᲣᲜᲐᲮᲔ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡᲐ, ᲛᲐᲛᲐ ᲮᲐᲠ, ᲨᲔᲜᲘ ᲕᲐᲚᲘᲐ“

ასე იყო ერთ ქართულ სიმღერაში.

სიმღერაც დაივიწყეს და საშვილიშვილო ვალიც, მამულიშვილობაც გვერდზე გადადეს და ბიზნეს შესწირეს შვილების მომავალი და კეთილდღეობა.

უცხოელთა ინვესტიციებს შეეწირა ტყეც, მდინარეებიც და ქართველთა ჯანმრთელობაც...

ტყის მასივი რომ ჟანგბადის მთავარი წყაროა, ყველამ კარგად იცის. ის, რომ ჯანმრთელი მიკროკლიმატის მბრძანებელია, ისიც ცნობილია, მაგრამ ქართველ თუ უცხოელ მეწარმეთა ფულის მოხვეჭის დაუოკებელი სურვილი ეკოლოგიასაც გადათელავს და ნორმალურ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობასაც მოსპობს.

დღეს ეკოლოგიური პრობლემები ეკონომიკური კანონების დიქტატის მსხვერპლია. გარემოზე ხელყოფა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და უხეშმა ბიზნესმა ქვეყნის ეკოლოგიას უდიდესი ზიანი მიაყენა.

სწორედ ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნები გახდა იმ მსოფლიო აჟიოტაჟის საფუძველი, რომლის მომსწრენი გავხდით ბოლო ათეული წლების განმავლობაში და გლობალური დათბობის პრობლემის სახელწოდებით არის ცნობილი. სავსებით გამიზნულად, გასული საუკუნის 90-იან წლებში დედამიწის საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდა ნახშირორჟანგის (CO_2) მოლეკულებს დაბრალდა. სათბურის ეფექტის მომიზეზებით CO_2 მოლეკულებს (რომელთა რაოდენობა მშრალ ჰაერში მოლეკულების საერთო რაოდენობასთან შედარებით 20 ათასჯერ ნაკლებია), თურმე, CO_2-ის მოლეკულებს დედამიწის ზედაპირიდან გამოსხივებული ინფრაწითელი ფოტონების შთანთქმა შეუძლია, ამ ფოტონებს კოსმოსში არ უშვებს და ამით დედამიწის ზედაპირის გაცივებას ხელს უშლის. ამას „სათბურის ეფექტი“ უწოდეს და დაიწყო ბრძოლა ნახშირორჟანგის მოლეკულების წინააღმდეგ.

მაგრამ, არსებობს ბუნებაში მოლეკულა, რომელიც ინფრაწითელ ფოტონებს არ შთანთქავს? რასაკვირველია – არა. მაშინ, რატომ „დასაჯეს“ ასე მაინცა და მაინც CO_2-ის მოლეკულა, რომელსაც მწვანე ნარგავებისთვის გადამწყვეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მადლიერი ტყეც ჩვენთვის სასიცოცხლო ჟანგბადს გვაწვდის?

ჟანგბადის შესახებ ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მსოფლიოში ტყეების მასივების განადგურებამ რამდენადმე შეამცირა ჟანგბადის რაოდენობა ატმოსფეროში.

როგორ გადავარჩინოთ საქართველოს ტყეები იმ ვანდალიზმისგან, რომელიც მას ქართველმა ბიზნესმენებმა უცხოელ ბიზნესმენებთან ერთად მოუწყეს?

ის, რომ საბაზრო ეკონომიკის გადამკიდე, ჩვენთან დაუმუშავებელი ხეტყის საზღვარგარეთ გატანა ვერ აიკრძალა, ცხადია, ბიზნესმენების „შავ ინტერესებში“ შედის, მაგრამ ამას ქართველი ხალხი რატომ შეეგუა?

ეტყობა, იმიტომ, რომ ისე გაგვიჭირდა, ლამისაა სული ეშმაკს მივყიდოთ. დღეს, „დემოკრატიის ტალღაზე“ აწყობილებმა, „დემონკრატიზმი“ შევქმენით და გაღატაკებულ ქართველ გლეხს უცხო ტომზე იმ მიწასაც გავაყიდინებთ, რომლითაც თავი მოგვქონდა და ღვთის წყალობად მიგვაჩნდა და რომელიც დიდი სისხლის ფასად შემოგვინახეს წინაპრებმა.

რა მოხდა? ასე რამ გაგვამათხოვრა და სხვისი შემხედვარე გაგვხადა? რატომაა ყველაფერი ისე, როგორც არის?

ბიბლიური იერემია წინასწარმეტყველი გოდებს: **„ოხრავს შენი ერი, პურის მძებნელი, საჭმელში ცვლიან ძვირფასეულობას, რომ სული მოითქვან, მოიხედე, უფალო, და დაინახე, როგორ დავმცირდით“.**

სწორედ ეს სიტყვები გამოხატავს ჩვენს დღევანდელ ყოფას. სწორედ ამ ძვირფას მიწა-წყალს ვცვლით საკვებზე, შიმშილით სიკვდილს რომ გადავურჩეთ.

ისრაელში მიწას ვერავინ გაყიდის – ვერც სახელმწიფო და ვერც კერძო პირი. ებრაელი ჭკვიანია და მიწას უფრთხილდება. უფრო მეტიც, ერთმა ებრაულმა ფირმამ ქართლში ათობით ჰექტარი მიწა შეიძინა, ზედა ნოყიერი ფენა მოხსნა და ისრაელში წაიღო!

რა ვუყოთ, რომ ჩვენს მიწას უცხო ტომი დაეპატრონა? ქართველი ხომ შეეგუა თურქეთში, რუსეთსა თუ აზერბაიჯანში ქართული მიწის არსებობას. ჩვენ ხომ დიდი ინტერნაციონალისტები ვართ, რა ვუყოთ, რომ დიდი დავითის მიერ შექმნილ სახელმწიფოს თანდათან ვანადგურებთ. რადგან საბაზრო ეკონომიკა ხელთ ვიგდეთ, განა არ ჯობს ჩვენი მიწის გაყიდვით ცოტა ფული ვიშოვნოთ? იქნებ ამ ფულით პარიზში ზოგიერთმა სახლებიც კი შეიძინოს? ჩქარა თუ არ გავყიდეთ, ჩვენი მეზობლები ამ მიწას მაინც ძალით წაგვართმევენ. ახლა დარჩენილ მიწებსაც იჯარით გავცემთ გადამთიელებზე და მომავალში იქნებ მყინვარწვერი და უშბა გავიტანოთ აუქციონზე? იალბუზი ხომ კარგა ხანია დავკარგეთ?

სანაოსნო და ნავსადგურები, შახტები და ქარხნები, ტყე-მინდვრები და სავარგულები, და კიდევ სხვა, რაც სადმე შემოგვრჩა, ინებონ უცხოტომელებმა, ვისაც ორიოდე გროში არ ენანება ამ გამათხოვრებული ქვეყნისათვის, მაგრამ როცა ყველაფერს გავყიდით და სულიერებასაც ზედ მივაყოლებთ, მერე რისი ან ვისი იმედი უნდა გვქონდეს?

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲣᲭᲔᲠᲡ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ სამინისტრო უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს მხარს არ უჭერს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ განუცხადა.

მისი თქმით, მიაჩნია, რომ საკითხები, რომელზეც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი საუბრობს, კონსტიტუციით არ უნდა რეგულირდებოდეს. – ის უნდა რეგულირდებოდეს ორგანული კანონით და არ არის არანაირი საჭიროება, რომ, რაც რეგულირდება ორგანული კანონით, რეგულირდებოდეს კონსტიტუციით, – განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ.

ამასთან, მისივე თქმით, თუ კოსტიტუციაში ცვლილებებია საჭირო, მიაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იმავე დროს არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც. კოტე კუბლაშვილმა უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების პროექტი 16 იანვარს წარადგინა. მისი თქმით, პროექტი სასამართლო ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერებას ითვალისწინებს.

– ამ მიზნით ჩვენ კონსტიტუციაში შეგვაქვს ცვლილება, რომელიც ე.წ. უცვლელობის გარანტიაა. ამ გარანტიის მიხედვით, კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლში იქნება ჩაწერილი, რომ დაუშვებელია შეიცვალოს ან სხვაგვარად ხელყოფილი იყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ის პრინციპები და გარანტიები, რომელიც დევს კონსტიტუციის მეხუთე თავში. ეს არის ე.წ. უცვლელობის გარანტია, – განაცხადა კუბლაშვილმა. მისივე განმარტებით, მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორია იცნობს ასეთ დებულებებს, თუმცა, არც ისე ბევრ ქვეყანაში მოქმედებს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ცეკავშირის მილიონები: „დალეჭვის ადგილი უცნობია...“

სამომხმარებლო **კოოპერაცია ამხანაგობის ის სახეობაა, რომელიც მის წევრებს პროდუქციის ერთობლივად საწარმოებლად, საქონლის შესასყიდად და შემდგომ მოსახლეობაზე გაყიდვის მიზნით გაერთიანებას ისახავს მიზნად – ენციკლოპედიის ეს რამდენადმე შეცვლილი განმარტება, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ შეახსენებს ჩვენს მკითხველს, თუ რა ადგილი უკავია ერთობლივ მეურნეობას ეროვნულ ეკონომიკაში. კოოპერაციის სხვადასხვა სახეობის მაგალითი კაცობრიობას უამრავი აქვს, რომელთა ჩამოთვლასა და განხილვას არ შევუდგებით, თუმცა კი, ჩვენი აზრით, საერთო საქმეს ნამდვილად წაადგება, თუკი ამ მნიშვნელოვანი საკითხის ეროვნულ ფესვებს თვალს გადავავლებთ.**

საქართველოში კოოპერაციას საფუძველი დიდმა ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა 140 წლის წინათ, ხოლო პირველი კოოპერატივები სიღნაღსა და თბილისში შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური საზოგადოება კერძო საკუთრებას გააფთრებით ებრძოდა, ხოლო კოოპერაცია კი, თავისი არსით, მის წევრთა, ანუ მეპაიეთა საკუთრება არის, საბჭოთა პერიოდში იგი მაინც დიდად განვითარდა. სხვადასხვა პერიპეტიების შემდეგ, რაც კოოპერაციულ საქმიანობას საბჭოთა კავშირში თავს გადახდა, საქართველოში სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი – ცეკავშირი შეიქმნა, სამეურნეო საქმიანობის ეს სახე კი დიდად განვითარდა გასული საუკუნის 60-90-იან წლებში. 90-იანი წლების დამდეგისთვის საქართველოს კოოპერაციას 15 ათასი საცალო ვაჭრობისა და 3 ათასი საზოგადოებრივი კვების ობიექტი, 32 პროდუქციის მიმღები პუნქტი და გადამმუშავებელი საწარმო, მათ შორის საკონსერვო (საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი – მარნეულში), სპირტსახდელი, ღვინის, წვენების, ტყავ-ნედლეულის გადამმუშავებელი, კერამიკის, თხილისა და დაფნის ფოთლის დაფასოების ქარხნები ჰქონდა. ცეკავშირი იმდენად მძლავრი იყო, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკუთარი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები და ა.შ. ჰქონდა. ქვეყნის ცეკავშირის სისტემაში დიდი სამშენებლო ტრესტი – საქკოოპმშენი – ფუნქციონირებდა, რომელიც არა მარტო კოოპერაციის, არამედ სხვა ობიექტებსაც აშენებდა. მარტო თბილისში ცეკავშირი შვიდ საკოლმეურნეო ბაზარს ფლობდა, ასევე ბაზრები ეკუთნოდა ბათუმში, ქუთაისში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ხაშურში, გორსა და წნორში. ცალკეა აღსანიშნავი, რომ მოღვაწეობის მთელი დროის მანძილზე, ქვეყნის ბიუჯეტიდან ცეკავშირი არანაირ დოტაციას არ საჭიროებდა, სახელმწიფოს დახმარება მხოლოდ იაფიანი (წლიური 2%-ის გადასახადის) კრედიტით სარგებლობა იყო, სამაგიეროდ, გადასახადების სახით ხაზინაში მილიონობით მანეთი შეჰქონდა.

მერე და მერე, როცა საქართველომ ასე ნანატრ თავისუფლებას მიაღწია, ბევრი რამ აირია ქვეყანაში, მათ შორის, ცეკავშირის საქმეც აიწეწა: საქმე ისაა, რომ ერთ დროს უძლიერესი ცეკავშირი, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩა და მისი კუთვნილი ქონების გასხვისება დაიწყო.

ამჟამად, ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესების პირობებში, მათ შორის უმტკივნეულეს ეკონომიკურ-სოციალურ სფეროებში, კოოპერაციის აქტუალურმა საკითხმაც იჩინა თავი. ამასთან დაკავშირებით, გაზეთის რედაქციამ ცეკავშირის თავმჯდომარეს ბატონ **როინ ადამაძეს** მიმართა.

– საქართველოში ბოლო დროს მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სოციალური ცვლილებების გათვალისწინებით, კოოპერაციული სფეროს განვითარების აუცილებლობა ეროვნული ეკონომიკის მომძლავრებაში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუნჯობესებაში, განუზომლად გაიზარდა. ბატონო როინ, როგორ გესახებათ კოოპერაციის წინსვლა და რა იყო აქამდე მისი, ასე ვთქვათ, „მიუსაფარი“ ბავშვის როლში ყოფნის მიზეზი?

– გაზეთის რედაქციისთვის მომართვას თავადაც ვაპირებდი, მით უმეტეს, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში თქვენთან, ცეკავშირის შესახებ ორი მასალა გამოქვეყნდა.

1990 წელს ცეკავშირის ქონება, დაახლოებითი გამოანგარიშებით, 12-დან 20 მილიარდ დოლარამდე შეადგენდა. დოლარის დღევანდელი კურსის გაათვალისწინებით, ეს თანხა რამდენიმეჯერ მეტია. **ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს უახლოესი ისტორიის მანძილზე მომხდარ უბედურებათა შორის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის შემდეგ, ცეკავშირის ქონების გაპარტახება-განიავებამ ქვეყანას უდიდესი ზარალი მიაყენა.** ამიტომ მინდა თქვენს კითხვას პასუხი ორ ნაწილად გავცე. **პირველი ნაწილი:** ვინ, სად და როგორ წაიღო ცეკავშირის ქონება? **მეორე ნაწილი:** ცეკავშირის გეგმები იმის თაობაზე, თუ რა როლის შესრულებას აპირებს იგი ქვეყნის აღმშენებლობასა და სოციალურ-ეკონომიური საკითხების გადაჭრაში.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ თქვენს გაზეთში (15.11.2012წ. №220 და 09.01.2013წ. №3) გამოქვეყნებული ორი მასალის ავტორია ბატონი მამია ჭუმბურიძე. პირველ მათგანში იგი, ცეკავშირის ზოგიერთ სხვა ყოფილ თანამშრომელთან ერთად, საქართველოს პრემირ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მიმართავდა, ქვეყნისთვის კოოპერაციის მნიშვნელობას აღნიშნავდა და 2006 წელს სახელმწოფოზე უსასყიდლოდ გასხვისებული ქონების უკან დაბრუნებას ითხოვდა. ამ პუბლიკაციის შემდეგ ჩემთან მოვიდა ბატონი ევგენი ჟვანია და აღნიშნულ საკითხზე აზრი მკითხა, რაზეც ვუპასუხე, რომ მზად ვიყავი ბატონ ჭუმბურიძესა და მისი გუნდის წევრებთან შეხვედრაზე, რათა საქართველოში კოოპერაციის აღორძინების, შემდგომი განვითარებისა და გასხვისებული ქონების დაბრუნების გზებზე გვემსჯელა. თუმცა კი, ამის თაობაზე ჩვენი შეხვედრა არ შედგა.

შემდგომ ისევ თქვენს გაზეთში ბატონმა მ. ჭუმბურიძემ, ცეკავშირის დამფუძნებელი კოოპერატივების მთელ რიგ წარმომადგენელთან ერთად, თუმცა რაიკავშირების თავმჯდომარეების უმეტესობის თანხმობის გარეშე, გაყალბებული ხელმოწერებით, 2013 წლის იანვრის მიწურულს ცეკავშირის რიგგარეშე საგანგებო ყრილობა მოიწვია, თუმცა კი, ცეკავშირის წესდების შესაბამისად, ამის უფლება არა ჰქონდა.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ მაიძულა დავინტერესებულიყავი ბატონ მ. ჭუმბურიძის პიროვნებით და მოქმედებათა მოტივაციით მისი ცეკავშირის სისტემაში მოღვაწეობისას 1990-2002 წლებში. 1991-95 წლებში ცეკავშირში მოქმედებდა საპრივატიზაციო კომისია, რომლის თავმჯდომარეც, ბატონი ჭუმბურიძე გახლდათ, მდივანი – ქალბატონი ნაირა ხუციშვილი, ხოლო კომისიის ერთ-ერთი წევრი, ბატონი ევგენი ჟვანია. **სწორედ ამ საპრივატიზაციო ჯგუფის წევრებმა გაყიდეს ხუთი წლის განმავლობაში, მინიმალურ ფასებში, ცეკავშირის ათასობით ობიექტი და ერთეული ტექნიკა.** იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ხდებოდა ამ ხნის მანძილზე კონკრეტულად, რამდენიმე მაგალითს დავასახელებ: 85-ადგილიანი სასტუმრო დაბა გუდაურში 15 ათას დოლარად გაიყიდა, ორსართულიანი უნივერმაღი – 360 დოლარად, ავტომანქანები და სხვა დანიშნულების ტექნიკა (ტრაქტორები, კომბაინები და ა.შ.) – 100-200 დოლარად. ასევე, რომ იტყვიან, „ჩალის ფასადაა“ გაყიდული სასადილოები, სოფლის მაღაზიები და სხვა, რაშიც მყიდველები ასევე 100-200 დოლარს იხდიდნენ. თუ რა ფასებში იყიდებოდა წლების მანძილზე ცეკავშირის ქონება, ამის ნახვა ახლაც თავისუფლად შეიძლება ორგანიზაციის გამგეობის სხდომათა დადგენილებების გაცნობით, რომლებშიც ლაპარაკია სხვადასხვა რაიონის კოოპერაციული ორგანიზაციების თხოვნათა დაკმაყოფილებაზე თავიანთი საკუთრების გასხვისების თაობაზე. მაგალითად, ლანჩხუთის რაიკოოპკავშირის ბალანსზე რიცხული „უაზის“ მარკის ავტომანქანა – 200 ლარი, გურჯაანში, ნაყინის წარმოების ქარხნის 80% – 40 ათასი ლარი, აგარაში უნივერმაღი – 35 ათასი ლარი, გუდაურში კაფე-ბარი – 12 ათასი ლარი, ჩხოროწყუში რესტორანი „ახალგაზრდული“ – 13 ათასი ლარი, ხობში რაიკოოპკავშირის სახელზე რიცხული „გაზ-52“ მარკის ავტომანქანა – 360 ლარი და მრავალი სხვა. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ცეკავშირის კუთვნილი ქონების მაშინდელი გასხვისების ოქმები დღესდღეობითაც არსებობს და ყველა ოქმის ყველა ფურცელს საპრივატიზაციო კომისიის მდივნის ნაირა ხუციშვილის ხელმოწერა ამშვენებს.

უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში, ქალბატონი ნ. ხუციშვილი ცეკავშირის ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარე იყო, რა დროსაც მისი და ბატონ მ. ჭუმბურიძის თაოსნობით საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. მათ შორის ერთ-ერთ მთავარ ცვლილებად შეიტანეს ის, რომ რაიონული კოოპორგანიზაციები გახდა ცეკავშირის დამფუძნებელი, თუმცა კი, საქართველოში, კოოპერაციის არსებობის მთელი ხნის მანძილზე, ცეკავშირი იყო კოოპორგანიზაციების დამფუძნებელი. **სწორედ ამ მნიშვნელოვან ცვლილებას მოჰყვა შემდგომ ქვეყნის მასშტაბით რაიონებში კოოპერაციული ქონების მასობრივი გაყიდვა, რაც, როგორც ჩანს, იყო კიდეც კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის ფარული მიზანი.**

1996 წლიდან მოყოლებული კი ცეკავშირის შემორჩენილი ქონების გასხვისებას უკვე უშუალოდ ცეკავშირის გამგეობა აწარმოებს. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში ცეკავშირის ყველა გაყიდული ობიექტის გასხვისების დოკუმენტაციას ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე მამია ჭუმბურიძე აწერს ხელს და, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ყველა ასეთ გარიგებაში ამ პირისა და მისი ჯგუფის წევრების პირადი ინტერესები იყო ჩადებული, რასაც უტყუარად ადასტურებს გაყიდვების სასაცილოდ მცირე თანხები.

ეს ის დრო იყო, როცა ქვეყნის ფაქტობრივად ყველა რაიონსა და ცეკავშირის კუთვნილ მეურნეობაში ყველა მოქმედი ობიექტი გაიყიდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცეკავშირის გამგეობის მიერ ცენტროსოიუზის კოოპერაციული ინსტიტუტის ექვსსართულიანი შენობის (ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №40/42) ვინმე ს. ქადაგიძეზე უსასყიდლოდ გადაცემა. პატივცემულმა ს. ქადაგიძემ, ცოტა ხნის შემდეგ, ცეკავშირის გამგეობის დარი სულგრძელობა აღარ გამოიჩინა და რამდენიმე წელიწადში ეს შენობა ეკონომიკის ყოფილ მინისტრ კ. ბენდუქიძეს 6 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდა!

საგულისხმოა, რომ 2005 წლისათვის ცეკავშირს, ქვეყნის მასშტაბით, კიდევ გააჩნდა დაახლოებით 150-200 მილიონი დოლარის ქონება, რაც იმას ნიშნავს, რომ 1990-2005 წლებში გაიყიდა ორგანიზაციის დაახლოებით 5 მილიარდი დოლარის ღირებულების ქონება. ამის დამადასტურებლად ასობით ობიექტის დასახელება შემიძლია, რომელთა გასხვისების დედანი ოქმების წარმოდგენაც, დაინტერესების შემთხვევაში, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

გარდა ზემოაღნიშნული აღმაშფოთებელი ფაქტებისა, ცეკავშირის გამგეობის წევრების ევგენი ჟვანიასა და მამუკა აბესაძის სახელებს საინვესტიციო-სავაჭრო ბანკის გაკოტრების საქმეც უკავშირდება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ცეკავშირი იყო. ამ ბანკიდან, ბატონმა ევგენი ჟვანიამ, ყალბი ორდერის გამოყენებით, 272 ათასი ლარი მიითვისა, ბატონმა მამუკა აბესაძემ კი – 110 ათასი ლარი. ეგ კიდევ არაფერი: ცეკავშირის კუთვნილ თანხებთან ერთად ასევე „დაიკარგა“ თავისუფლების მოედნის №7-ში მდებარე ცეკავშირის შენობის 550 კვ. მეტრის ფართი. 2002 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა ე. ახალაიამ სისხლის სამართლის საქმე ხანდაზმულობის გამო შეწყვიტა.

ამჟამად კი, როგორც ჩანს, ჯგუფი, რომლის შესახებ ზემოთ ვილაპარაკე, მამია ჭუმბურიძის, ევგენი ჟვანიას, ნაირა ხუციშვილის თაოსნობით, **კვლავ აპირებს ცეკავშირში მოსვლას და სახელმწიფოსგან იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც 2006 წელს რაიკავშირებმა ამავე სახელმწიფოს “ნებაყოფლობით“, სინამდვილეში კი უკანონოდ, ზეწოლის პირობებში, უსასყიდლოდ გადასცეს. ეს „კეთილი ნების ჟესტიც“ ბატონების მამუკა აბესაძისა და ევგენი ჟვანიას ხელმძღვანელობით გაკეთდა. ეჭვი არ არის, რომ აღნიშნული ქონების უკან დაბრუნების შემთხვევაში მასაც იგივე ბედი ეწვევა, რაც ცეკავშირის დანარჩენ ქონებას მოუვიდა ბატონი მამია ჭუმბურიძის მოღვაწეობის დროს და კოოპერაციას იგი არანაირად არ მოხმარდება.**

იხ. 6 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ცეკავშირის მილიონები: „დალექვის ადგილი უცნობია...“

(მეხუთე გვერდიდან)

2005 წლის 30 სექტემბერს მე ამირჩიეს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ, რის შემდგომ, მოკლე ხანში, ცეკავშირმა სამეურნეო საქმიანობა საგრძნობლად გააქტიურა, დაიწყო მიტაცებული ქონების უკან დაბრუნების პროცესი, თუმცა, 2006 წლის 31 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ი. ადეიშვილმა უფლებამოსილება შემიჩერა.

2006 წელს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ მამუკა აბესაძე, მოადგილეებად — ივანე ქელბაქიანი და ევგენი ჟვანია აირჩიეს. მათ, 2006 წლის 10 მარტს საბჭოს კრება ჩაატარეს, რომელსაც დამფუძნებელთა უმრავლესობა არ ესწრებოდა, ხოლო ვინც დაესწრო, ყველა მათგანს გვერდში თითო პოლიციელი ეჯდა და ხმის მიცემას დაჭერის მუქარით აიძულებდა.

კრებამ გამოიტანა დადგენილება ცეკავშირის საკუთარი მეურნეობების სახელმწიფოზე უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, ხოლო რაიკავშირებზე ბრძანება გაიცა თავიანთ ორგანიზაციებში საერთო კრებები ჩაეტარებინათ და მიეღოთ გადაწყვეტილებები მთელი ქონების სახელმწიფოზე უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

ამ კრების დადგენილების საფუძველზე ცეკავშირმა სახელმწიფოს გადასცა მისი საკუთარი მეურნეობის 27 ობიექტი და გაერთიანება, 44 აგრარული ბაზარი, მარნეულის სასურსათო კომბინატი (ღირებულება 25 მილიონი დოლარი), კოოპერაციული ინსტიტუტის ექვსსართულიანი შენობა (ვ. ფშაველას გამზ. №44), ცეკავშირის ბაზები თბილისსა და ქუთაისში, სანატორიუმები — საირმეში, ქობულეთში, გუდაურში და სხვა.

რაც შეეხება რაიონებს, აქ უფრო რთული სიტუაცია იყო: **მეპაიეები არ ეთანხმებოდნენ ქონების უსასყიდლოდ გადაცემას. ფინანსურმა პოლიციამ, დავით კეზერაშვილის მეთაურობით, უსასტიკესი ზეწოლა განახორციელა რაიკავშირების თავმჯდომარეებზე, რასაც რამდენიმე მათგანის სიცოცხლეც შეეწირა.** კერძოდ, აჭარის რაიკავშირის თავმჯდომარეს დაკითხვიდან ერთ საათში გული გაუსკდა, ლანჩხუთის რაიკავშირის თავმჯდომარეს ბორკილების დადებისას გაუსკდა გული და ადგილზე გარდაიცვალა, ხაშურის რაიკავშირის თავმჯდომარე დააკავეს, 7 თვე ციხეში ჰყავდათ და ხელი საკანში მოაწერინეს ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემაზე, ბორჯომის რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილეს იარაღი ჩაუდეს და სამი თვე ჰყავდათ ციხეში...

სახელმწიფოს მიზანი იყო საქართველოში კოოპერაციის ლიკვიდაცია. რაიკავშირების თავმჯდომარეებს შეპირდნენ, რომ ქონების გადაცემის შემდეგ საგადასახადო დავალიანებებს ჩამოაწერდნენ, თუმცა დანაპირები არ შეასრულეს, ქონება წაიღეს, ვალები კი დაუტოვეს, რამაც რამდენიმე რაიკავშირის გაკოტრება გამოიწვია, დარჩენილ რაიკავშირებს კი დღესაც დიდი სირთულეები აქვთ.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ **კოოპერაციის ლიკვიდაცია მსოფლიოში მოხდა ორჯერ: პირველად 1933 წელს — ფაშისტური გერმანიის მიერ და მეორედ — 2006 წელს — საქართველოს ხელისუფლების მიერ.**

მოკლედ მინდა მოგახსენოთ იმ ობიექტების შესახებ, რომლებიც მ. აბესაძემ და ე. ჟვანიამ გადასცეს სახელმწიფოს. აღსანიშნავია, რომ მარნეულის სასურსათო კომბინატი, რომელიც ღირს 25 მილიონი დოლარი, მ. სიმონიშვილმა შეიძინა 250 ათას დოლარად, თან საბუთები გააყალბა. კურორტი საირმე **ერთ** დოლარად პრეზიდენტმა გადასცა ნაციონალების დეპუტატს თ. კოხოძეს; ხაშურის ბაზარი — სახელმწიფომ გაყალბებული საბუთებით ჯერ მიითვისა, შემდეგ მიზერულ ფასად გაყიდა. 2005-2006 წლებში ცეკავშირში მოკალათებულმა მ. აბესაძემ, ი. ქელბაქიანმა, ე. ჟვანიამ და მათთან დაახლოებულმა ძმებმა მაყაშვილებმა გაყიდეს სოფ. ნატახტარში, ცეკავშირის კუთვნილი, 3-4 მილიონ ლარად ღირებული ახალი მაცივარი 450 ათას ლარად (სადაც ამჟამად ლუდის ქარხანაა) და თანხა მიითვისეს.

მე მაკვირვებს ამ ადამიანების სიხარბე. თავისუფლების მოედანი №7-ში მდებარე ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობის საბალანსო ღირებულება, მისი შეგნებულად დაბალი შეფასების გამო, 3,7 მილიონი ლარი იყო. შენობის მითვისებასა და ფულის გათეთრებაში მონაწილეობდნენ მამუკა აბესაძე, ძმები მაყაშვილები, ბადრი კაჭარავა, ირაკლი კილაურიძე და რამდენიმე სხვა პირი. შენობა აღმოჩნდა თბილისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის ფირმების ხელში, რომელიც რამდენიმე დღეში იპოთეკით დაიტვირთა და გაფორმდა კრედიტი 20 მილიონ დოლარზე. ე. ი. შენობა შეფასდა, სავარაუდოდ, 50 მილიონ დოლარად. მით უმეტეს გასაკვირია, თუ რატომ დაუშვა მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც ამ ქონების ხარჯზე უდიდესი შემოსავალი მიიღო და წინასწარ იცოდა, რომ, ფაქტობრივად, მოპარულ ქონებას ყიდულობდა, რომ ცეკავშირს არ გადაუხადეს თუნდაც ის მიზერული თანხა, რაც შენობის შეგნებულად დაბალი შეფასების გამო იყო განსაზღვრული და რატომ მოხვდა ამ ქონების „შეძენის ლეგალიზაციისათვის“ გამოყოფილი თანხები თაღლითების ხელში. ასევე თაღლითობა ჩაიდინეს საგურამოში, სადაც 70 ათასი კვადრატული მეტრი ფართის მქონე სასათბურე მეურნეობაზეც, რომელიც ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი სათბური იყო ამიერკავკასიაში და 22-23 მილიონი დოლარი ღირდა. მ. აბესაძემ იგი ლ. მაყაშვილს 220 ათას ლარად მიყიდა, თანხა კი არ გადაუხდია, სათბური დაშალა და 3 მილიონ ლარად გაყიდა. მცხეთა-მთიანეთის ყოფილმა გუბერნატორმა ც.ჩოჩელმა უკანონოდ გააუქმა იჯარის ხელშეკრულება ცეკავშირთან და ლუდის ქარხანა ზედაზენი ააშენა.

მ. აბესაძემ სათბურის დაშლა-გაყიდვით მიღებული თანხა მიითვისა, შემდეგ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით ლ. მაყაშვილთან ერთად გამოვიდა და ც. ჩოჩელს რამდენიმე მილიონი დოლარი მოსთხოვა, რაც, ფაქტობრივად, დანაშაულის აღიარებითი ჩვენებაა. მათ ჯერაც არ გადაუხდიათ ცეკავშირის დავალიანება. ჩემი აზრით, ამ ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე, ხოლო ც. ჩოჩელმა კომპენსაცია ცეკავშირს უნდა აუნაზღაუროს.

2005 წლიდან მოყოლებული მე ყველა ამ საქმეზე ოთხი საჩივარი შევიტანე ადეიშვილის, ტყეშელაშვილის, გვარამიას და ზოდელავას სახელზე, მაგრამ უშედეგოდ. **2012 წლის დეკემბერში განცხადებები შევიტანე როგორც რესპუბლიკის მთავარ პროკურატურაში, ასევე ფინანსურ პოლიციაში, სადაც მიმდინარეობს ხსენებულ საქმეებზე აქტიური გამოძიება და, იმედია, უახლოეს ხანებში შეაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.**

ცეკავშირმა, რესპუბლიკის მთავარ პროკურატურაში, 45 რაიკოოპერატივის სახელით, შეიტანა განცხადება იმ ძალადობასა და ზეწოლაზე, რომელიც მათ მიმართ განხორციელდა 2006 წელს. მიმაჩნია, რომ **კოოპერაციის ყველა სტრუქტურას ჩამორთმეული ქონება უნდა დაუბრუნდეს, ხოლო უკანონოდ გაბერილი ვალები ჩამოეწეროს და მიეცეს საშუალება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის აღმავლობაში.**

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ, როგორც ვხედავთ, მ. ჭუმბურიძის, მ. აბესაძის და ე. ჟვანიას გზები წლების განმავლობაში იკვეთებოდნენ, ხოლო ბოლო დღეებში ცხადი გახდა, რომ მ. ჭუმბურიძეს არც ცეკავშირის ქონების დაბრუნების სურვილი აქვს და არც კოოპერაცია ადარდებს. იგი მოქმედებს მ. აბესაძის და მისი გუნდის წევრთა მითითებით, მათი ძირითადი მიზანია, შეწყვიტონ ჩემს მიერ აღძრული საქმეები პროკურატურასა და ფინანსურ პოლიციაში (როგორც ეს აბესაძემ მოახერხა 2006 წელს). მ. ჭუმბურიძე ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ მოსვლის შემთხვევაში ადვილად შეძლებს ამ საქმეების შეჩერებას და უკან გამოტანას, რითაც ხსენებული პირები და ძველი ხელისუფლება მოახერხებენ ყველა იმ უკანონობისა და დანაშაულის მიჩქმალვას, რაც მათ წლების განმავლობაში ჩაიდინეს, რომელთა გამოაშკარავების შიშიც ახლადმოსული, სამართლიანი ხელისუფლების პირობებში აქვთ.

საუბარს უძღვებოდა
ოთარ ტურაბელიძე

◎ წარდგინება

რატომ შურს გურამ პეტრიაშვილს ბოშების?

გურამ პეტრიაშვილის „100 ლექსის“ წარდგინებას უმასპინძლა გამომცემლობა „ინტელექტმა“. ეს საღამო საინტერესო იყო იმით, რომ უკრაინიდან, დროებითი თავშესაფრიდან დაბრუნებული პოეტის სიტყვა უნდა მოგვესმინა და მისი გულისთქმა გაგვეგო თითქმის ოცწლიანი განშორების შემდეგ... ხალხს დღესაც ახსოვს გურამ პეტრიაშვილის ერთი სიტყვა: „მოგელანდებით...“ დღეს მრავალ ტკივილიან საფიქრალს აღძრავდა, უწინარესად კი... ისევ სამშობლოს ბედისას... იდგა იგი, სამშობლოსათვის ფიქრიანი, გულდაღარული და დათოვლილი... სვანური ქუდით, თვალებში ძველებური სევდით აკიანთებული და ამბობდა:

„ახალსოფელი, მარტყოფი,
დიდი ლილო და ნორიო...
აქეთ კასპი და გლდანია,
იქით ხაშმი და წნორიო...
ამით რომ დავტკბე, მჭირდება
სიცოცხლე ასჯერ ორიო“.

ოცი წელი მშობლიური სანახების მონატრებით ტკბებოდა და ქართული სიტყვა აძლებინებდა უცხო მხარეში.

წიგნის წინასიტყვაობაში ივანე ამირხანაშვილი აღნიშნავს: „როგორ წავიკითხოთ გურამ პეტრიაშვილი? ისე, როგორც აქ წერია, თუ ისე, როგორც ჩვენს მეხსიერებაშია? მიკვირს და დღემდე ვერ გამიგია, რა აძლებინებს საზღვარგარეთ, სამშობლოს გარეშე, უსაქართველოდ. როგორ უმკლავდება ნოსტალგიას, რა უქარვებს ტკივილსა და მარტოობას... სიტყვა სიტყვად რჩება, გურამი ისევ იმ გურამად რჩება, ყოველ შემთხვევაში, იმათთვის, მაინც, ვისაც გვახსოვს მისი შემოქმედება კინოში, ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში, ცხოვრებაში, პოლიტიკაში... ვერ გაუგებს იმიტომ, რომ ძალიან მართალი იყო, წარმოუდგენლად მართალი“...

შემდეგ ბატონი ივანე იქვე დასძენს, გულის პრინციპით ცხოვრობდაო... წარმოუდგენლად მართალი იყო და გულის პრინციპით იცხოვრო, მართლაც, ძალზე ძნელია... ჩვენ თითზე ჩამოსათვლელი გვყავს ასეთი შემოქმედები, რომელთა კრედოც თავად გურამ პეტრიაშვილმა ლექსად გამოხატა:

„კაცი — მტკიცედ უნდა იდგეს
და არ იყიდებოდეს“...

კითხულობ და გჯერა, გჯერა და მერე ამ სიტყვების ავტორიც გიყვარდება ისე, როგორც სამშობლო გიყვარს, მისი სიზმარიც:

„დავყურებ ბალიშს: ცრემლიანია,
ცრემლიანია
შვილის ბალიშიც:
წუხელ ორივემ
საქართველო
ვნახეთ სიზმარში“.

პოეტის სიზმარ-ცხადი საქართველოა:

„სიზმრად საქართველოს
გულად მიძგერია,
ცხადში სიმღერები
მისი მიმღერია...
მხოლოდ ერთი მინდა
და სხვა არაფერი:
ჩემი კოლხეთი და
ჩემი იბერია!“

გურამ პეტრიაშვილისთვის ძვირფასია თითოეული გოჯი მიწისა, იმ მიწისა, სადაც დაიბადა, სადაც ქართულ სიტყვას ეზიარა და ეს სიტყვები გულის გულში ჩაიკირა, მარადიულად... მან იცის, რომ „გული გამორჩეულად უყვარს ქართულ ენას“, და მასაც ამ ენისთვის მიუძღვნია გული — გაუყოფელი...

— პოეტი ქართული ენისთვის იბრძვის, რადგან იცის, რომ ხვალ ტერიტორიების დაბრუნებაც შეიძლება, მაგრამ ენას, თუ არ მოვუფრთხილდით, ვერავინ ვეღარ დაგვიბრუნებს... — აღნიშნა იმ დღეს „ინტელექტში“ ბატონმა მურმან თავდიშვილმა, და იქვე გურამ პეტრიაშვილის პიროვნების წარმოსაჩენად რასულ გამზათოვის ლექსიც დაიმოწმა:

„თუ ჩემი ენა ხვალ უნდა
მოკვდეს,
მე რომ დღეს მოვკვდე, ეს
მირჩევნია“.

— გურამ პეტრიაშვილი ამ სტრიქონებს ჰგავსო, — დასძინა.

ქალბატონმა სალომე კაპანაძემ ლექსი ბოშასადმი გაიხსენა, სადაც პოეტი ბოშას ასე მიმართავს:

„ეჰ, როგორა მშურს, ბოშებო, თქვენი:
რადგან არა გაქვთ,
ვერც წაგართმევენ
სამშობლოს ლამაზს!“

„— გახსოვთ, ალბათ, კინოროლი, სადაც გურამ პეტრიაშვილი კითხულობს: „რას ერჩით ჩემს ცოლს?“ ეს კითხვა დღეს იგივეა, რაც „რას ერჩით ჩემს სამშობლოს“ პოეტის გრძნობას სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობა ჰქვია. მას ქართული მწერლობის სინდისს ვუწოდებდი, რამდენიმე ასეთი მწერალი გვყავს მხოლოდ. ხშირად კი მწერალი და პიროვნება ერთმანეთს არ ემთხვევა“, — აღნიშნა სალომე კაპანაძემ.

ბატონმა ლევან ბრეგვაძემ გურამ პეტრიაშვილს კონცეფციის მქონე პოეტი უწოდა, რომლის ყველა ლექსში არის იდეა, კონცეფცია. ეს იდეა მის მთელ შემოქმედებას აერთიანებსო.

კრიტიკოსის თქმით, ჩვენს დროში ადამიანებს დაავიწყდათ, რისთვის არიან გაჩენილები, მათ საშუალება მიზნად გადააქციეს... გავა დრო, წავალთ ამ ქვეყნიდან. რჩება მხოლოდ ის, რის მიმართაც ესთეტიკურ დამოკიდებულებას ვავლენთ — მშვიდი და ბედნიერი სახით აყვავებული ალუბლის წინ დგომას...

ამ მარადიულ ფენომენზე ბევრი ისაუბრეს იმ დღეს მურმან ჯგუბურიამ, ოქტაი ქაზუმოვმა, გვანცა ჯობაძემ, არჩილ მამუკაშვილმა, მურთაზ დოჭვირმა, შალვა საბაშვილმა. გურამ პეტრიაშვილის თანაკურსელებმა გაიხსენეს ისიც, უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მათემატიკის ნაცვლად როგორ ასწავლიდა გურამ პეტრიაშვილი ქართულ ენას მოსწავლეებს ლილოში...

იმ დღეს ყველაზე დიდი სამადლობელი ეკუთვნოდა საღამოს წამყვანს, ბატონ კახმეგ კუდავას — გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორსა და „ასი ლექსის“ პროექტის ავტორს, ვინც სამშობლომონატრებული პოეტი დაგვიბრუნა და დაგვანახვა — ისევ ისეთი გაუყიდავი, „წარმოუდგენლად მართალი“, სულში მოწყენილი და ფიქრიანი პატარა ალუბლის ხით... ვისაც შეუძლია უზარმაზარი, სახლისხელა და ცრემლის სევდა აგვიყვავილოს და მის ნათელს გვაზიაროს...

ეს დიდი ცრემლია, ჩემი, შენი, სხვისი, ყველასი... და პატარა, უბრალო, მარტივ ცრემლებად არ ნაწილდება!..

თამარ
შაიშმელაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ცუდი წარსული არავის ეპატიება!

ქამელეონი სალია, აბურდულ-დაბურდული ბურდული და სადადიანოში გამოწყვეტილი დადიანი

ამას წინათ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საჯაროდ განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების დროს მომუშავე მოსამართლეებსა და პროკურორებს ასე ხელალებით სამსახურეებიდან არ გავათავისუფლებთო, რადგანაც ისინი გამოსწორდებიან და თემიდას ახლებურად მოემსახურებიანო.

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, მიუხედავად ქალბატონი თეა წულუკიანისადმი დიდი პატივისცემისა, შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს ჯალათები ოდესმე გამოსწორდებიან... ისე აუშენდეს ოჯახი ჩემი და ეთერ კვირიაშვილის ბრალმდებელს ნუგზარ სალიას, ის რომ გამოსწორდება, კაცი, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში კობერიძეების, ლაცაბიძეების, ღვინიაშვილებისა და კეზერაშვილების დავალებებს მორჩილად ასრულებდა.

ეთერ კვირიაშვილს პროკურორი ნუგზარ სალია ამა ქვეყნის ძლიერთაგან თვალდადგმულ ამ ქალბატონის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ედავებოდა. უშიშარი ქალი რომ ვერ დაიყოლიეს ბინძურ საპროცესო გარიგებაზე, 14-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს...

მე კალმის მეტი არაფერი მქონდა წასართმევი, თუმცა ჯალათ სალიას, ალბათ წაკითხული არ ჰქონდა დიდი კონსტანტინეს სიტყვები, რომ „კალამი ყველაზე მძიმე არტილერიაა“, ჰოდა, მე რაც ამ კაცზე ვწერე ციხეში და ციხის გარეთ, ამ ჩაშვება-დაბეზღების „დიდოსტატმა“ ვერაფრით „მომაქცია“, უმაღლესი სასჯელი ჩემთვისაც „გამოაცხო“ და 9 წლით ციხეში მიკრა თავი, არადა, რამდენი ასეთი საქმე „შეუკერავს“. მთელი თუ არა, ნახევარი ზონა მისი და მისი პროკურორი ძმის წყევლა-კრულვაში იყო, მერე მისი ჯალათი ძმა თაღლითობის მუხლით გაასამართლეს „ნაცებმა“. მახსოვს, პატიმარი ქალების ყიჟინა, გეგონებოდათ „სვაბოდის“ ფურცლები დაურიგესო, თურმე მის მიერ გასამართლებულებს ტელევიზიით გაეგოთ ნუგზარ სალიას პროკურორი ძმის დაპატიმრება, კაცმა ისე როგორ უნდა იცხოვრო ამ წუთისოფელში, რომ ამდენი ქალი გაამწარო. ჩემს თვალწინ, 4 წელიწადი აკითხავდა პროკურორი სალია კვირიაშვილს, რომ რამენაირად „შეეცდინა“ და ხელი მოეწერა გარიგებაზე, — კვირიაშვილთან საპროცესო შეთანხმების დაყოლიებაზე იმდენი იხეტიალა, სანამ ქალმა ჯანმრთელობა არ დაკარგა. ეს იყო საშინელი ზეწოლა. კვირიაშვილი სტრასბურგის ჩარევის შემდეგ სასჯელის გადავადებით გავიდა ციხიდან, თუმცა იურიდიულად ისევ პატიმრობაშია! მე ქალბატონ ეთერისთან ერთად ველოდები ევროპის სასამართლოს ვერდიქტს. ამ ქვეყანაში რამდენი არჩევნები და რამდენი რევოლუციები უნდა მოხდეს, რომ ჩვენნაირებისთვის სამართალმა „პური ჭამოს“. ჩვენ კარგად გვესმის ახალი ხელისუფლების ჰუმანური პოლიტიკისა, მაგრამ ვერაფრით მივიღებთ იუსტიციის მინისტრის, ქალბატონ თეა წულუკიანის კეთილშობილ „ნოტას“, რადგანაც გვჯერა, რომ სალიასნაირები ქვიშითაც არ გაიხეხებიან!

ნუგზარ სალიას შესახებ ბევრი სამხილი გამოვაქვეყნე პრესაში. მე კი არა, ბევრი ვერ დაივიწყებს, სასამართლო პროცესს, როდესაც სალიას მიერ ყურით მოთრეულ ცრუ-მოწმეს — პროცესზე ნოდარ დუმბაძის გმირ ტიგრან რგულოიანივით რომ ვუთხარი: „რატომ მღუპავ-მეთქი?! ერთი სიტყვა — „დედიჯან“ აღარ მითქვამს, როგორც მწერლის ტექსტშია, ჩემზე ახალგაზრდა იყო და იმიტომ... ან იმას რა დამავიწყებს, პროცესზე, როდესაც ჩემმა წესიერმა ადვოკატმა, სტუდენტობიდანვე სამართლიანობისთვის აქტიურად მებრძოლმა თემურ გოგსაძემ, რომ იტყვიან, „ჩიხში“ მოამწყვდია ბრალმდებელი და მოსამართლე ჩოხელი... წარმოიდგინეთ, რა საყურებელი იქნებოდნენ სასამართლო პროცესიდან გაქცეული თავჩაქინდრული ბრალმდებელი სალია და ჩოხელი, სალიამ კი, ყელამდე სიბინძურეში მყოფმა ვაიბრალმდებელმა კარებიდან მაინც შემომაძახა: გეთანამშრომლა პროკურატურასთან და დარბაზიდან გაგათავისუფლებდითო“. ამიტომ ვთქვი, არ გათეთრდების ყორანი-მეთქი... მიუხედავად უმკაცრესი სასჯელისა, უმძიმეს წუთებში მე ისეთი ამაყი ვიყავი, როგორც არასდროს!..

* * *

მიშას ციხეში ხომ არც ისე იოლი გახლდათ ზეწოლისგან დაგეღწია თავი და ადამიანად დარჩენილიყავი. თუმცა... იქ, ისიც ვიცოდი, რომ ციხის გარეთა სამყაროც თითქმის პატიმრობაში იყო მოქცეული, ადამიანებს სამსაახურებს ატოვებინებდნენ, შენობებიდან ყრიდნენ და შენობას ყიდდნენ, როგორც კოსტავას ქუჩაზე მედიასახლის, გამომცემლობა „სამშობლოს“ მიმართ განახორციელეს. ამ დიდი სახლის „ბინადარი“ გახლდათ ცნობილი ჟურნალისტი, მრავალჯერ რეპრესირებული ოჯახის შვილი ქალბატონი დალი დვალი — გაზეთ „თბილისიდან“. ბედმა ამ დღეებში მასთან შემახვედრა.

ჩემმა კოლეგამ გაიხსენა: „ოთხმოცდაათიანი წლები იყო... თბილისის უნივერსიტეტიდან რუსთაველის პროსპექტისაკენ ახალგაზრდული მოძრაობის სიო სახეში გვცემდა, გვაფხიზლებდა, ქართულ სულს ცეცხლს უკიდებდა. გაზეთ „თბილისში“ სუფთა ჟანგბადივით ველოდით იურიდიული ფაკულტეტის ახალგაზრდა სტუდენტის თემურ გოგსაძის გამოჩენას, მას გოდერძი ჩოხელივით ღვინისფერი, აწითლებული სახე ჰქონდა. შინაგანი ენერგიის სხეულიდან გარეთ იჟონებოდა. ზვიადთან და მერაბთან ყოველდღიურად ურთიერთობდა. აი, ასეთი კაცი იყო ჩემი დამცველი, ბატონი თემური — ადამიანი სუფთა ხელებითა და ნამუსიანი წარსულით. მე ვამაყობ, რომ ასეთი კაცი მიცავდა. ასეთები უნდა შევამჩნიოთ, დავაფასოთ და წავახალისოთ. ასეთების გამორჩევა აუცილებელია, რათა უფრო კარგად გამოიკვეთონ იმ ადვოკატთა სახეები, როგორებიც იყვნენ პროფესიაში და სულში აბურდულ-დაბურდული ამირან ბურდულის და სადადიანოში გამოწყვეტილი უსახური დავით დადიანის სახეები, რომლებმაც პროკურატურის სასარგებლოდ წარმატებით იმუშავეს. ახალი ხელისუფლება ყველასათვის გასახარად რეფორმების გზას დაადგა, მაგრამ რეფორმებს ხელი არ უნდა შეუშალოს ლოიალურმა პოლიტიკამ. მართალი სასამართლო, რომელიც ქვეყანას სუფთა ჰაერივით სჭირდება, სუფთა ხელებიან სასამართლო მოხელეებს გულისხმობს. დღევანდელი სასამართლო წარმოუდგენელი იქნება მართალი, ძლიერი პროკურორისა და ადვოკატის გარეშე. ეს ჩემზე კარგად ქალბატონ თეა წულუკიანს მოეხსენება და ჩვენ მისი იმედი გვაქვს.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ნამდვილად საკვირველია პროკურორ სალიას „მეტამორფოზა“, „ნაცების“ „ქილერმა“ მოახერხა და ქამელეონივით გამოიცვალა ტყავი, თავისი ბინძური საცეცებით კარგად დაყნოსა „ქართული ოცნების“ მოსალოდნელი გამარჯვება, არც აცია, არც აცხელა და მის რიგებში გადაძვრა. მალე კიდევაც მოახერხა მაღალი თანამდებობისათვის გამოეკრა ხელი. იგი ამჟამად ფინანსური პოლიციის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სამმართველოს უფროსია.

„ქართულ ოცნებას“ მინდა ვკითხო: მაინც ვინ იყო მისი „ლობი“?

ფრთხილად, ჩემო კარგებო, რამდენმა პატიოსანმა ადამიანმა ჩააქცია სისხლი თქვენს მოსვლაში, მათ შორის ჩემმა მეგობარმა, კალამწართმეულმა კოლეგა ჟურნალისტმა, ამ სტრიქონების ავტორმა...

და ბოლოს, იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს უმორჩილესად ვთხოვ, გადახედოს ჩემი და ეთერ კვირიაშვილის სტრასბურგში გახმაურებულ საქმეს, მაშინ აშკარა გახდება ამგვარი კადრების „რეანიმაციის“ დაუშვებლობა.

ნანა სულავა

◎ ინფორმაცია

300-ზე მეტ დევნილს საცხოვრებელი ფართი რეგიონებში 1 ლარად გადაეცემა

როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის დავით დარახველიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მიიღო. მინისტრის ინფორმაციით, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და დაახლოებით ერთ თვეში საცხოვრებელ ფართებს კიდევ ბევრი დევნილი დაიკანონებს.

დარახველიძის განმარტებით, ის პოლიტიკა, რომელიც მთავრობამ დევნილებთან მიმართებაში გამოაცხადა, გეგმის მიხედვით ხორციელდება.

— რაც შეეხება ფართების განაწილების საკითხს, ამაზე სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა იზრუნა. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება ყველა მომენტი, მათ შორის საცხოვრებელი ადგილი, სულადობა, დასაქმება და სხვა მაჩვენებელი, რაც დევნილთა მდგომარეობას ახასიათებს, — აღნიშნა დავით დარახველიძემ.

თამარ ჩხეიძე - დაკავებები პირადი ანგარიშსწორების მიზნით ხორციელდება

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ხელმძღვანელი თამარ ჩხეიძე მთავრობას აკრიტიკებს.

ჩხეიძე უარყოფითად აფასებს მთავრობის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას. მისი თქმით, ბოლო დროს განხორციელებული დაკავებები პირადი ანგარიშსწორების მიზნით ხორციელდება.

— არც თავიდან მქონდა დადებითი პროცესების მოლოდინი, განსაკუთრებით მეშინოდა რუსეთთან ურთიერთობის და აფხაზეთის საკითხების. რაც შეეხება სხვა სფეროებს, არ მოველოდი ისეთ სულელურ უარყოფით პროცესებს და ასეთ სულელურ დაჭერებსა და რეპრესიებს. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ არ უნდა იყოს ობიექტური გამოძიება, მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ — ხდება ჯერ იმ ადამიანების დაჭერა, რომლის მიმართაც პირადი ინტერესი აქვთ. გაერთიანებული შტაბის უფროსი გიგი კალანდაძე სულელური ბრალდებით დააკავეს და ეს იმიტომ მოხდა, რომ ნატო-ს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი ჩაშლილიყო და ჩაიშალა კიდეც. ისინი აზროვნებენ სისხლის აღების პრინციპით, — აცხადებს ჩხეიძე.

თამარ ჩხეიძე, ასევე, უარყოფითად აფასებს რკინიგზის შესაძლო გახსნის საკითხსაც და ამბობს, რომ საქართველომ მის ხელთ არსებული ბერკეტები რუსეთთან მიმართებაში დეოკუპაციის პროცესის დაწყების გარეშე არ უნდა დათმოს. მისი განმარტებით, მთავრობა ევროატლანტიკურ კურსს მხოლოდ სიტყვიერად აგრძელებს.

— რუსეთი არ არის დემოკრატიული ქვეყანა და შეუძლებელია, რომ მრავალმილიარდიანი ქონება გამოგატანონ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოსაყენელად, თუ ამას არ თვლის საჭიროდ თვითონ პუტინი. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ნატოზე ხაზგასმა არის არაგულწრფელი, — განაცხადა თამარ ჩხეიძემ.

თამარ ჩხეიძე, ასევე, უარყოფითად აფასებს პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში.

აფხაზეთში „დედ ჰასანთან“ დაპირისპირებული ე.წ. კანონიერი ქურდი მოკლეს

აფხაზეთში, კრიმინალურ ავტორიტეტ ასლან უსოიანთან („დედ ჰასანი“) დაპირისპირებული ე.წ. კანონიერი ქურდი ასტამურ გულია, მეტსახელად „ასტამურ სუხუმსკი“ მოკლეს.

რუსული მედიის ინფორმაციით, 31 წლის კრიმინალურ ავტორიტეტზე თავდასხმა სოხუმის ერთ-ერთ ქუჩაზე მოხდა. მას ცეცხლი ავტომანქანიდან გაუხსნეს.

იმის შესახებ, ზუსტად როდის მოხდა თავდასხმა, ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა, ცნობილია, რომ გულია 20 იანვარს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რუსული მედიის ცნობით, ასტამურ გულიამ ე.წ. კანონიერი ქურდის სტატუსი 2012 წლის 10 დეკემბერს მიიღო. კრიმინალური ავტორიტეტების შეკრება დუბაიში შედგა. მას დაახლოებით სამოცამდე კრიმინალური ავტორიტეტი დაესწრო, რომლებიც „დედ ჰასანთან“, იგივე ასლან უსოიანთან იყვნენ დაპირისპირებულები. ამ შეხვედრაზე მოხდა 15 ახალი, ე.წ. კანონიერი ქურდის „ნათლობა“, რაც მაშინ განიხილეს, როგორც გამოწვევა „დედ ჰასანის“ წინააღმდეგ.

არსებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდში, კრიმინალურ ავტორიტეტებს შორის დაპირისპირების გამო, ახალი ე.წ. კანონიერი ქურდების „ნათლობაზე“ მორატორიუმი იყო გამოცხადებული და მის დარღვევას მხოლოდ „დედ ჰასანის“ მომხრეები წყვეტდნენ. დუბაიაში შემდგარი „ნათლობით“, უსოიანის მოწინააღმდეგეებმა აჩვენეს, რომ მათაც შეუძლიათ ამ აკრძალვის დარღვევა.

არსებული ინფორმაციით, დუბაის შეკრების შემდეგ, უსოიანის მომხრეებმა „ქურდებად მონათლულების“ წინააღმდეგ ნადირობა გამოაცხადეს. ვითარების დასარეგულირებლად, დეკემბრის ბოლოს მოსკოვში „დედ ჰასანის“ ორი არაკეთილმოსურნე, მერაბ ჯანგველაძე („მერაბ სუხუმსკი“) და ჯემო მიქელაძე („ჯემო“) ჩავიდნენ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სოხუმმა და თბილისმა შეიძლება დიალოგი დაიწყონ

სააკაშვილმა ბრალი დასდო ივანიშვილს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაში

სოხუმი ელოდება თბილისისგან წინადადებებს სარკინიგზო მიმოსვლის განახლების შესახებ. შეზღუდულად აღიარებული აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ანქვაბმა ასეთი რეაგირება მოახდინა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის აუცილებლობის შესახებ. შეგახსენებთ, ეს გზა სამხრეთ კავკასიას რუსეთთან აერთებს. ანქვაბის სიტყვებით, თუ შემოვა კონკრეტული იდეები, „დავსხდებით და განვიხილავთ კოლექტიურად“, ჯერჯერობით კი არაფერია, მაშასადამე, სალაპარაკოც არაფერია.

გულახდილად თუ ვილაპარაკებთ, წინადადება რკინიგზის აღდგენის შესახებ აფხაზეთის მხარემ მიიღო ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის პირველსავე დღეებში, შარშან ოქტომბერში. რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა, როდესაც საუბრობდა პროექტებზე, რომელთა რეალიზაციაც თბილისმა და სოხუმმა შეიძლება ერთობლივად მოახდინონ, ამ სატრანსპორტო არტერიას უწოდა სწორედ რეაბილიტაცია, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მთელი რეგიონისთვის. მაგრამ მაშინ აფხაზმა ჩინოვნიკებმა კატეგორიული უარით უპასუხეს: პროექტი არ შეესაბამება რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს. დღეს რიტორიკა რამდენადმე შერბილდა.

ალექსანდრ ანქვაბმა თქვა, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით დაინტერესებულია ბევრი რეგიონალური მოთამაშე. „მაგრამ მე ბუნდოვნად წარმომიდგენია, თუ როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს. შემიძლია შეგახსენოთ, რომ ამიერკავკასიის აფხაზეთის მონაკვეთზე საბჭოთა პერიოდში გადიოდა 24 წყვილი სატვირთო მატარებელი და 14 წყვილი სამგზავრო. ხაზი საკმაოდ გადატვირთული იყო. მასზე გადაჰქონდათ იმ ტვირთების 15 პროცენტამდე, რომლებიც რეგიონში შემოდიოდა. დღეს ძნელია რაიმეს თქმა — საკითხი უნდა გადაწყვიტონ სპეციალისტებმა და დაიანგარიშონ, თუ რას მიიღებს აქედან აფხაზეთის მხარე, თუ ეს სასარგებლო იქნება, რა მიზნებსა და ინტერესებს ისახავენ შესაძლო პროცესის მონაწილეები. ჯერ-ჯერობით ყველაფერი უკიდურესად ბუნდოვანია“, — განაცხადა აფხაზეთის ლიდერმა. მისი სკეპტიციზმი, შესაძლებელია, აიხსნას გზის ცუდი მდგომარეობითაც, საქართველოსთან კომუნიკაციების უქონლობის წლებში გზა მთლიანად მოიშალა. ფაქტობრივად, ოჩამჩირის შემდეგ საქართველოს მიმართულებით, როგორც ანქვაბმა თქვა, „საერთოდ არაფერია, და საჭიროა მილიარდობით დაბანდებანი“. საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, უნდა მოწესრიგდეს რკინიგზის აფხაზეთის მთელი მონაკვეთი, „რომლის ეფექტიანობაც შეიძლება სამიანზე შევაფასოთ“.

სოხუმის საპირისპიროდ, თბილისი უფრო გაბედულია. ივანიშვილთან დაახლოებული ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ გზის აღდგენის საკითხზე უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენელთა გარდა, შესაძლებელია, შევიდნენ რუსეთისა და სომხეთის სპეციალისტებიც — იმ ქვეყნებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან პროექტის რეალიზაციით.

„მაგრამ არ ღირს ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ეს სომხეთის ან ვინმე სხვის ინტერესებში შედის. აფხაზეთის რკინიგზა საქართველოს რკინიგზის განუყოფელი ნაწილია. მისი აღდგენა შეიძლება გახდეს ერთგვარი ხიდი აფხაზეთის რეინტეგრაციის პროცესის დაწყებისთვის“, — განაცხადა ხუხაშვილმა. მისი სიტყვებით, უშიშროების საკითხები, შესაძლო საზღვარი არის მოლაპაკების საგანი და მათი გადაწყვეტისთვის უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

„განხორციელდება თუ არა პროექტი, დამოკიდებულია მხარეების ადეკვატურობაზე. ორი საბაჟო დაუშვებელია. საზღვარი უნდა იყოს ფსოუზე. შესაძლებელია, დროებითი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩაერთონ საერთაშორისო ექსპედიტორები“, — განაცხადა ხუხაშვილმა.



ბიძინა ივანიშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ სომხეთში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს აფხაზეთის სარკინიგზო ხაზის აღდგენისთვის. „ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია. საქართველოსა და სომხეთს შორის არ არის პრობლემები, მაგრამ ჩვენ გვრჩება დიდი პრობლემები რუსეთთან. ყველაზე პრობლემური საკითხი — ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და იგი, ალბათ, მალე არ გადაწყდება“, — თქვა ივანიშვილმა და იმედი გამოთქვა რუსეთთან ურთიერთობათა აღდგენის შესახებ და რაც შეიძლება მალე.

ამ განცხადებამ, ისევე როგორც სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პროექტმა, კრიტიკის მთელი ნაკადი გამოიწვია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრიდან. გამართულ ბრიფინგზე სააკაშვილმა განაცხადა, რომ „აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა შედის მხოლოდ ერთი ქვეყნის — რუსეთის ინტერესებში“. „ოკუპანტები გადაწყვეტენ ორ ამოცანას: მოხდება საქართველოს ეკონომიკური დასუსტება და შენელდება ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებარე ახალი რკინიგზის მნიშვნელობა“. პრეზიდენტის სიტყვებით, გზის გახსნა აფხაზეთის გავლით არ შედის საქართველოს ინტერესებში, ხოლო პროექტის მომხრეებმა ან არ იციან მისი ანტისახელმწიფოებრიობა, ანდა მუშაობენ რუსეთის სასარგებლოდ. ამავე დროს სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო უფრთხილდება კარგ ურთიერთობას სომხეთთან, რომელიც განსაკუთრებით არის დაინტერესებული მიმოსვლის აღდგენაში აფხაზეთის გავლით, რასაც შეუძლია შეამსუბუქოს მისი ნახევრადბლოკადური მდგომარეობა. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით სატრანსპორტო შესაძლებლობათა გაფართოებისთვის, მათ შორის, დავიწყეთ ქალაქ-ნავსადგურ ლაზიკას მშენებლობა, რომელსაც შეუძლია გააფართოოს ტვირთნაკადი სომხეთზე“, — აღნიშნა მან და დაიჩივლა კიდეც, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს პროექტი გაყინა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ლამის უფრო დიდი ყურადღება დაუთმეს ივანიშვილის მეორე განცხადებას, რომელიც მან სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან გააკეთა: „სომხეთი, რომელსაც კარგი ურთიერთობები აქვს რუსეთთანაც, დასავლეთის ქვეყნებთანაც, ნატოსთანაც, არის კარგი მაგალითი საქართველოსთვის“. კერძოდ, პარტიის გენერალურმა მდივანმა, ყოფილმა პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პატივს სცემს მეგობრული ერევნის არჩევანს, განაცხადა, რომ მისი გზა არ შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. „სომხეთის დამოკიდებულება რუსეთთან და ნატოსთან მიუღებელია ჩვენთვის და ეწინააღმდეგება ჩვენს სახელმწიფო მიზნებს“, — განაცხადა მან.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიაჩნიათ, რომ აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენის პროექტი არის იმის მზადყოფნის დადასტურება, რომ შეიცვალოს პოლიტიკური ორიენტირები.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

◎ პროგნოზი

საშუალო კლასისა და სხვა პრობლემები

შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დაწყების წინ ეკონომისტებმა უახლოესი ათწლეულის მთავარი რისკები დაასახელეს.

სპეციალისტების აზრით, რომლებიც დასკვნების გამოტანისას სტატისტიკურ მონაცემებს იყენებენ, ბოლო დროს მდგრადი ტენდენცია ისაა, რომ **მდიდრები დღითი დღე კიდევ უფრო მეტად მდიდრდებიან, ღარიბები სულ უფრო და უფრო ღატაკდებიან, ნებისმიერი საზოგადოების ხერხემალი საშუალო კლასი კი, როგორც ასეთი, სულაც ნელ-ნელა ქრება.** სწორედ ამ პრობლემებს მიიჩნევენ ეკონომისტები ყველაზე დიდი ხიფათის შემცველებად მომდევნო ათი წლის მანძილზე, ნათქვამია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (მეფ) მოხსენებაში, რომელიც 23 იანვარს ტრადიციულად დავოსში საზეიმოდ გაიხსნება.

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში წამყვან სპეციალისტთა გამოკითხვის შედეგად ირკვევა (მათი რიცხვი კი ათას კაცს აჭარბებს!), რომ მდიდრებისა და ღარიბების შემოსავალსა და ცხოვრების დონეს შორის განსხვავება უზარმაზარია, თანაც ყოველწლიურად განუხრელად მატულობს. ეს ძალიან არასასურველი, მეტიც — მეტად სახიფათო ტენდენციაა, რადგან **სტაბილური საშუალო შემოსავლით მცხოვრები ხალხის რიცხვი გამუდმებით მცირდება, შესაბამისად საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა ასევე იკლებს, რაც ეკონომიკას საზრდოს აცლის და მისი რეცესიის საფრთხეს ჰქმნის.**

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს ეკონომისტები საბიუჯეტო არეულობაში ხედავენ: **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ, ევროპის ქვეყნებმა უამრავი ვალები დააგროვეს და როგორ აპირებენ მათ გასტუმრებას ჯერჯერობით სრულიად გაურკვეველია.** სხვათა შორის, თანამედროვე მსოფლიოში ამჟამად არა მარტო ფულის, არამედ საკვებისა და მტკნარი წყლის დეფიციტიცაა... ძირითადი პრობლემების ხუთეულის „ჩამკეტია“ თითქმის ყველა ქვეყანაში არსებული საპენსიო სისტემის საკითხი. თუკი საპენსიო რეფორმების განხორციელება დროულად არ დაიწყება, ამას სერიოზული საბიუჯეტო გარღვევები მოყვება, აცხადებენ ანალიტიკოსები.

ოთარ მერიშვილი

დედამიწის ზურგზე

იწყება ობამას მეორე ვადა: ექსპერტებმა განმარტეს, თუ რას უნდა ელოდეგოდეს რუსეთი, რომელიც აშშ-თვის უკვე საინტერესო არ არის

ამერიკის თეთრი სახლის ხელმძღვანელმა ორშაბათს ფიცი დადო მეორედ — ამჯერად საზეიმო ვითარებაში. მას ემუქრება სიძნელეები კონგრესთან ურთიერთობებში, სადაც პრეზიდენტს უკვე ლანძღავენ მინისტრების „ცისფერი გუნდისთვის“. მარტივი არ იქნება არც საგარეო პოლიტიკა. სახელმწიფო დუმიდან შეფასებით, ობამა გახდა მთელი რიგი არახელსაყრელი ვითარების მძევალი, რომელთა დაძლევაც მისთვის მეტად რთული იქნება.

* * *

ალჟირში სამხედრო ოპერაციების შედეგები: თითქმის 50 დაღუპული მძევალი და „მისტერ მალბოროს“ გაძცევა

ინ-ამენასში ოთხდღიანი ოპერაციის დროს გაანადგურეს 30-ზე მეტი ბოევიკი, მაგრამ ისლამური მაღრიბის ქვეყნებში „ალ-ქაიდის“ რამდენიმე წევრი ცოცხლად აიყვანეს, თუმცა, არა ცალთვალა მეთაური. გადარჩენილთა საუბრები ადასტურებენ: მძევალთა დაღუპვაში დამნაშავეები არიან არა მხოლოდ ალჟირელი ჯარისკაცები. რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

* * *

კიბო შეიძლება გამოიწვიონ დნმ-ს არატიპურმა „გაორმაგებულმა“ მოლეკულებმა, გამოარკვიეს კამბოჯაში



მკვლევარებს იმედი აქვთ, რომ თავიანთი მუშაობით არა მხოლოდ გადაატრიალებენ სამეცნიერო წარმოდგენას დნმ-ს უჯრედების შესახებ, არამედ შეიტანენ თავიანთ წვლილსაც კიბოს საწინააღმდეგო წამლების ძიებაში. თუ მედიკოსები და ფარმაცევტები მიაქცევენ ყურადღებას ამ გამოკვლევას, მომავალში შესაძლებელი იქნება თავი დავაღწიოთ ავთვისებიან სიმსივნეებს ქსოვილების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად.

* * *

მეცნიერებს იმედი აძვთ, რომ მონახავენ პლანეტა მარსზე ღრმა კრატერებში სიცოცხლის კვალს

მათ შეიცავს თიხის კვალი, რომელიც წარმოიქმნება მხოლოდ გრუნტის წყლების არსებობის დროს — ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ წითელ პლანეტაზე შეიძლებოდა ყოფილიყო თხელი წყალი, და მაშასადამე, სიცოცხლეც, მისი ოკეანეების აორთქლების შემდეგაც კი. შემდგომი მარსმავალი შეიძლება გაუშვან ერთ-ერთ სიღრმისეულ კრატერში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„ძაღლური ცხოვრება“ პრეზიდენტის კარავში გრძელდება

სანამ აქ შეაფარებდნენ თავს, მათ არსებობას მაშინაც „ძაღლური ცხოვრება“ ერქვა. თბილისის ბაღებში, ზოგი ბუჩქის ძირას ათევდა ღამეს, ზოგიც ძელსკამზე, დღისით კი სანაგვეებში იქექებოდნენ, ლუკმაპურს ეძებდნენ... დაზამთრდა, აცივდა, ყინვები დაიჭრა და, მადლობა ღმერთს, ეს უბედური ადამიანები არასამთავრობოებს გაახსენდათ. ჰოდა, თითქმის, ორი თვის წინათ არასამთავრობოებმა 9 აპრილის ბაღში გამართეს პრეზიდენტის კარავი, რომელშიც უსახლკაროები, ვისაც, როგორ შეუძლია (ზოგი რკინის საწოლზეა წამოწოლილი, ზოგიც შეფუთულია და სკამზე ჩამომჯდარი), ათევს ღამეს. ეკლესია აწვდის მათ შეშას, რომ თუნუქის ღუმელი დაანთონ, ეკლესია და კეთილი ადამიანები ახლო-მახლოდან აწვდიან მათ მწირ სასმელ-საჭმელს... და ასე გადის „ძაღლური ცხოვრება“...

მცხეთელი გიორგი კაპანაძის შვილს სახლ-კარი წაუგია, თვითონ სადღაც გადაკარგულა, მამა კი თბილისის ბაღებში ხეტიალის შემდეგ, 9 აპრილის ბაღში ბრეზენტში ათევს ღამეს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღარ ხარო და დახმარება შეუწყვეტიათ მისთვის. ცხინვალელი ზაურ ხადური კარგა ხნის წინანდელი დევნილია, ბრმა და ხეიბარია... მარეხ კარიაულის მეუღლეს ბინა იპოტეკაში ჩაუდევს, ფული წაურთმევია და წასულა... შვილები ბებიასთან ჰყავს მარეხს...

მე ცოტა ადრე მომიხდა მისვლა და ზოგს ჯერ კიდევ სძინავს, ღუმელთან 10-12 წლის ჩაჭუჭყიანებული გოგო-ბიჭი ჩაცუცქულა...

– ესენი წუხელ საღამოს მოიყვანეს და დღეს, იქნებ, ბავშვთა სახლში გადაიყვანონ, – მეუბნება დათო სიბაშვილი, რომელიც მერიის უსაფრთხოების თანამშრომელი აღმოჩნდა...

– სხვათა შორის, დაგვპირდნენ, სადმე შეგასახლებთო და, ვნახოთ, – იმედიანადაა გიორგი კაპანაძე, – იქნებ, ცოტა დათბეს, გაზაფხულდეს, თორემ, ხანდახან, აქ 25-30 კაცი მაინც ირევა და სუნთქვა ჭირს...

ვემშვიდობები, მოთმინებას ვუსურვებ ამ ადამიანებს და გამოვდივარ ბრეზენტის კარვიდან.

ქაშუეთის ზარის ხმა მოისმის ახლოდან.

– ღმერთო, შეეწიე ყველა გაჭირვებულს!..

„გიორგი ბარამია უნდა გადადგეს!“

– ხმაში რისხვას აქსოვს დიმიტრი ჯაიანი – ცნობილი მსახიობი, აფხაზეთიდან დევნილი სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრის კოლექტივთან ერთად, რომელსაც დიმა მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, აფხაზეთის ტრაგედიის გამო ბედმა რომ თბილისში გადმოისროლა და უკვე აქ შეუდგა ნიჭიერი კოლექტივი მოღვაწეობას, დიმა ჯაიანი კი, „რატომ კარგი აგიგიაო“, თეატრიდან დაითხოვეს, მერე კაცისკვლა დააბრალეს, მაგრამ, საგედნიეროდ, სამართალმა პური ჭამა, მასთან ერთად თეატრიდან გაუშვეს რამდენიმე ნიჭიერი მსახიობიც, რა არ შეუთხზეს და რა არ დააბრალეს მათ, სოხუმის თეატრი კი, დღეს, ფაქტობრივად, დაშლილია...

– ეს სულ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გიორგი ბარამიას „დამსახურებაა“, – აუწყებს თავისივე პრესკონფერენციაზე დიმა ჯაიანი კინოს სახლის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას – ძირითადად აფხაზეთიდან დევნილებს – მსახიობებს, რეჟისორებს, მწერლებს, – არადა, ბარამია აქეთ გვედავება და დიდი ენთუზიაზმით განაგრძობს სააკაშვილის მიერ დანერგილ უსამართლობას, იგი ოდნავადაც ვერ გრძნობს, რომ სულ სხვა დრო დადგა... პოლიტიკური ნიშნის მიხედვით უშვებს ხალხს სამსახურიდან. გულდასაწყვეტია, რომ აფხაზეთის მთავრობის საქმიანობით ჯერჯერობით არ დაინტერესებულა ქვეყნის ახალი ხელისუფლება. ჩვენ იმედი გვაქვს იმ პროცესისა, რომელიც ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით თანდათან იკიდებს ფეხს და, რასაც სამართლისა და სამართლიანობის ზეიმი ჰქვია. მე არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო დაინტერესდნენ იმით, თუ რა უმსგავსო ამბები ხდება აფხაზეთის მთავრობაში. ამიტომ, ჩვენ ვურჩევთ ბარამიას, რომ „იყნოსოს“ სიტუაცია და თავად გადადგეს, სანამ დროა!

ყველა გამომსვლელი პრესკონფერენციაზე, დიმიტრი ჯაიანის პოზიციას უჭერდა მხარს.

ბიჭების პირველი ღონიერი ნაბიჯები

ბიჭები ჰქვიათ, აბა, რა! გიორგი თავართქილაძემ და ილია ფარსადანიშვილმა ახლახან დაამთავრეს თეატრალური უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი მიხო ბორაშვილის ხელმძღვანელობით და დამოუკიდებელი სადიპლომო პროექტიც განახორციელეს. გიორგი რეჟისორია, ილია ოპერატორი... ამას, ყველაფერს, თავად მიამბობენ, რედაქციაში სტუმრობისა და გაცნობის შემდეგ.

– ჩემივე სცენარით გადავიღეთ სამნაწილიანი ფილმი „ჟანგის კაცი“, – მიამბობს რეჟისორი გიორგი თავართქილაძე, – ფილმის მთავარი გმირის ფასეულობები დრომ დააძველა, ამიტომ ვუწოდებთ ჟანგის კაცს. ილიასთან ერთად ჩვენი ფილმის ოპერატორია კობა შველიძე, ხოლო მონაწილეობენ მსახიობები: ბექა ქავთარაძე, გიორგი ვარდოსანიძე, სოსო თავართქილაძე, გია გაბრიჭიძე, გიორგი სამადაშვილი, კოტე თოლორდავა, ჯაბა პაპუაშვილი, ანი გიუნტერი, რუსუდან ძნელაძე, ილია ფარსადანიშვილი...

– ფილმი ასახავს კონფლიქტს ორ უკიდურეს მხარეს შორის, ერთი მხარე წარმოადგენს საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის ცხოვრების წესი დადგენილი სტანდარტებით შემოიფარგლება, მეორე მხარის ღირებულებები კი ირაციონალურ ფასეულობებს წარმოადგენს...

– როგორც გავიგე, უკვე საკმაო წარმატებები ჰქონია თქვენს ნამუშევრებს...

– ჩვენმა ფილმმა თავიდანვე პოლონეთის ქალაქ კრაკოვის კინოფესტივალზე „გრან-პრი “ მოიპოვა, მერე თბილისში, კინოფესტივალ „პრომეთეზე“ უჩვენეს კონკურსგარეშე, მერე შვეიცარიაში „დაუნ ბრიკერს ფილმ-ფესტივალზე“, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 24 ფილმიდან ჩვენი ფილმი წარმოადგენდა აღმოსავლეთ ევროპას...

ახლა ფილმი გაგზავნილი გვაქვს კანის სტუდენტურ ფესტივალზე, რა დასამალია, წარმატებას ველოდებით. საუბარში ერთვება ჩვენი კოლეგა, ფილმის ერთ-ერთი მონაწილე გია გაბრიჭიძე:

– მე დიდი იმედი მაქვს, ეს ფილმი კანის კინოფესტივალზეც მიიქცევს ყურადღებას... გადაღებების პროცესში მე მაინც ჟურნალისტის თვალით ვაკვირდებოდი ამ ნიჭიერი ახალგაზრდების გარჯას და, ჩემი აზრით, ისინი უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალები არიან. ცალკე აღნიშვნის ღირსია მსახიობთა შემადგენლობა, განსაკუთრებით კი გიორგი ვარდოსანიძისა და ბექა ქავთარაძის თამაში.

– იმედია, რომ ჩვენც მალე ვნახავთ ამ ფილმს...

– იმედია...

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

ნინო ქადაგიძე-ჟვანია: ოქრუაშვილი ყოველთვის იმას ლაპარაკობს, რაც აწყობს

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოჯახის პოზიციას არ ცვლის, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გარდაცვილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას ქვრივმა, ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ განუცხადა.

მისივე განმატებით, ოქრუაშვილი ყოველთვის იმას ლაპარაკობს, რაც აწყობს.

— რა თქმა უნდა, ოქრუაშვილის განცხადება არანაირად არ ცვლის ჩვენს პოზიციას. ოქრუაშვილი ყოველთვის იმას ლაპარაკობს, რაც აწყობს და ამ სიტუაციაში ზუსტად არ ვიცი, რატომ აწყობს ამის თქმა. ალბათ, ეს მის ციხიდან გამოსვლასთანაა დაკავშირებული, — განმარტა ქადაგიძე-ჟვანიამ.

ამასთან, ზურაბ ჟვანიას ქვრივის თქმით, მისთვის ოქრუაშვილის გათავისუფლება მოულოდნელი იყო.

— ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რომ ოქრუაშვილი ასე უცებ გაათავისუფლეს. ალბათ, იქ რაღაც პროცესები მიდის, თუმცა ზუსტად მიჭირს თქმა. მე, ოქრუაშვილისგან განსხვავებით, რაც არ ვიცი, იმას არ ვლაპარაკობ. ალბათ, გაირკვევა ყველაფერი, — აღნიშნა ნინო ქადაგიძემ.

18 იანვარს, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა „მე-9 არხთან„ საუბარში განაცხადა, რომ მისი აზრით, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება „მკვლელობა არ იყო„.

არჩილ კბილაშვილი: ჩვენ გვაქვს მასალები, რომლის უბრალოდ გაფიქრებაც კი ადამიანს შეზარავს

ჩვენ ვიხილეთ ცოცხები საპყრობილეში, ვიხილეთ ჰომოსექსუალთა შანტაჟი, მაგრამ ჩვენ გვაქვს უამრავი სხვა ტიპის ინფორმაცია და მასალები, რომლის უბრალოდ გაფიქრებაც კი ადამიანს შეზარავს, — ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა გადაცემა „პოსტ სკრიპტუმთან“ საუბარში განაცხადა.

მისივე განმარტებით, „აღნიშნულ განცხადებას ახლა კადრებით ვერ დაასაბუთებს, მაგრამ წინა ხელისუფლების „ავადმყოფური ქცევის ფანტაზიას დასასრული არ აქვს“.

— წარმოიდგინეთ, როცა პატიმარს აყურებინებენ მისი ოჯახის წევრის გაუპატიურებას, წარმოიდგინეთ შემთხვევა, როცა ყელამდე მიწაში ადამიანს ფლავენ და მის თავზე, ასე ვთქვათ, ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ. ამ ყველაფერზე გამოძიება მიმდინარეობს და მინდა ვთქვა, რომ ავადმყოფური ქცევის ფანტაზიას დასასრული არ აქვს. ჩვენ საოცრად არაადეკვატური და ძნელად განსაჭვრეტი რეალობის მხილველები ვართ, მაგრამ უკვე გაკვირვების სიმპტომიც კი გამქრალი გვაქვს, — განაცხადა კბილაშვილმა.

რაც შეეხება უშუალოდ სექსუალურ უმცირესობათა პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს, მთავარი პროკურორის ინფორმაციით, გამოძიებას მსგავსი 80-ზე მეტი ვიდეომასალა აქვს.

— გამოძიება დაიწყო ასე: მოგვმართა მსხვერპლმა, რომელმაც ფოსტის მეშვეობით წერილი და ვიდეოჩანაწერი მიიღო. მისგან ითხოვდნენ გარკვეულ თანხას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩანაწერი გავრცელდებოდა. ჩანაწერში ამ ადამიანმა მახეში გაბმის შედეგად საკუთარი თავი ამოიცნო. მან ჩვენ მოგვმართა და აქედან დავიწყეთ გამოძიება. გამოძიების შედეგად მოვიპოვეთ გარკვეული ფირები, ახსნა-განმარტებები. გავრცელებული ინფორმაცია 80 და მეტი ვიდეოფირის შესახებ მართლაც მოიპოვება საგამოძიებო მასალებში. ეს მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ მასშტაბები ასეთი მოქმედებების იყო ძალიან დიდი, — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

რაც შეეხება საზოგადოების ნაწილის მოსაზრებას, რომ აღნიშნული ვიდეომასალების გავრცელების გამო პროკურატურამ ბოდიში უნდა მოიხადოს, კბილაშვილი მათ არ ეთანხმება და განმარტავს, რომ მისმა უწყებამ ავადმყოფობა გამოავლინა.

— ნუთუ შეიძლება ამ ავადმყოფობის გამოვლენისთვის ვინმემ ბოდიში მოიხადოს. ესაა ის ქმედება, რომელიც დროულად უნდა გაგვეკეთებინა, — დასძინა არჩილ კბილაშვილმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კალათბურთი

ბოლოამდე იბრძოლეს...

საკალათბურთო-ძორძიას მემორიალის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში საინტერესო მატჩები გაიმართა. 4-დან 2-ის შედეგს სატურნირო თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა:

დღის ბოლო 2 შეხვედრას მემორიალის ფინალისტები უნდა გაერკვია, მანამდე გამართულ ორ შეხვედრაში კი აუტსაიდერებმა ითამაშეს.

„სოხუმისა“ და თსუ-ს ბრძოლა დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომელიც სტუდენტების გამარჯვებით, ანგარიშით 66:60 დასრულდა. დღის პირველ მატჩში კი „დინამომ“ 75:58 დაამარცხა სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი.

მესამე შეხვედრა ნახევარფინალის ტოლფასი გახლდათ, რომელშიც ერთმანეთს „რუსთავი“ და „შსს-აკადემია“ შეხვდნენ. ორივე გუნდს ამ მატჩამდე 2-2 შეხვედრა ჰქონდა მოგებული და პირველადგილოსანი პირად დაპირისპირებაში უნდა გამოევლინათ. დაძაბულ ბრძოლაში 3 ქულის სხვაობით რუსთაველებმა იმარჯვეს და მემორიალის ფინალში გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ მათ მეტოქეს 16-ქულიანი ჩამორჩენა ამოუქაჩეს.

ბოლო შეხვედრამ მეორე ფინალისტიც გაარკვია. „ოლიმპს“ „არმიასთან“ 14-ქულიანი ჰანდიკაპი ჰქონდა, თუმცა თავდაცვის სამინისტროს გუნდმა ისე ყოჩაღად დაიწყო თამაში, რომ მეორე მეოთხედში უკვე 19-ით იგებდა. დარჩენილ დროში ოლიმპელებმა თამაში გამოასწორეს და ჩამორჩენა ხომ აღმოფხვრეს, საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც.

აღსანიშნავია, რომ არმიელთა უკანახაზელმა გიორგი გამყრელიძემ 24 ქულასთან ერთად 18 პასიც მოაგროვა და ეს ამ ტურნირის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. გამყრელიძემ ძირითადი დროის ბოლო წამზე ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა, მაგრამ ექსტრახუთწუთიანში ოლიმპელებმა მაინც იმარჯვეს და ფინალში ღირსეულად გავიდნენ.

ჯგუფური ტურნირის შედეგები.

„ა“ ჯგუფი. „ოლიმპი“ – „დინამო“ 85:59, „ოლიმპი“ – „არმია“ 103:101, „ოლიმპი“ – „სტუ 76:58, „ოლიმპი“ – „სამედიცინო“ 94:58, „დინამო“ – „არმია“ 78:75, „დინამო“ – სტუ 85:59, „დინამო“ – „სამედიცინო“ 75:58, „არმია“ – სტუ 63:44, „არმია“ – „სამედიცინო“ 99:62, სტუ – „სამედიცინო“ 89:68.

„ოლიმპი“ – 4, „დინამო“ – 3, „არმია“ – 2, სტუ – 1, „სამედიცინო“ – 0 მოგება.

„ბ“ ჯგუფი. „რუსთავი“ – „შსს აკადემია“ 81:78, „რუსთავი“ – თსუ 85:72, „რუსთავი“ – „სოხუმი“ 80:72, „შსს-აკადემია“ – თსუ 75:62, „შსს აკადემია“ – „სოხუმი“ 79:64, თსუ – „სოხუმი“ 66:60.

„რუსთავი“ – 3, „შსს-აკადემია“ – 2, თსუ – 1, „სოხუმი“ – 0 მოგება.

სატიტულო მატჩს ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზი დღეს, 18 საათზე უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ბალტიისპირული პრიზებით

ტალინში დამთავრდა ცნობილი მოჭადრაკის – პაულ კერესის მემორიალი, რომელშიც ექვსი ქვეყნის 20 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ორგანიზატორებმა ისინი სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფში გადაანაწილეს. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის იყვნენ ქართველებიც – დიდოსტატი მაკა ფურცელაძე და ფიდეს ოსტატი ვარლამ ვეფხვიშვილი. A ჯგუფში ფურცელაძემ წრიული სისტემით გამართულ ტურნირში 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულას მოუყარა თავი და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, თან მსოფლიო რეიტინგი 23 პუნქტით გაიუმჯობესა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ესტონელები – ოტომარ ლადვა (6) და იგორ შვირუოვი (5,5) გავიდნენ.

B ჯგუფში კარგა ხანს ვარლამ ვეფხვიშვილი მეწინავეობდა, მაგრამ მე-7 ტურში ბალტიისპირელ სანდერ კუკთან მარცხის შემდეგ ლიდერის პოზიცია დათმო, თუმცა 6,5 ქულით მეორე ადგილი მაინც დაიკავა. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარეს თავი კუკმა და ილია სიროშმა, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მათ მესამე–მეოთხე ადგილები გაინაწილეს. 7 ქულით B ჯგუფში მთავარი პრიზი იური მალინინმა (რუსეთი) მოიპოვა.

ლექსო ცინცაძე

◎ ტყვიის სროლა

ევროპაზე - ჩემპიონი და სამი სხვაც

წლეულს 25 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით დანიური ოდენსე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში საქართველოს ოთხი სპორტსმენიც იასპარეზებს: ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ლევან ქადაგიძე (უფროსებში), ლიზი კილაძე და ვლადისლავ მაიოროვი (ახალგაზრდებში).

კონტინენტის პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად და საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად მიუნხენს გაემგზავრება საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრები სახელოვანი მწვრთნელის ვახტანგ სალუქვაძის ხელმძღვანელობით. ზემოთ დასახელებული ოთხეულის გარდა, ნაკრების შემადგენლობაში არიან მარიამ ბლუაშვილი და მარიამ მაღრაძე, რომლებიც, კილაძე-მაიოროვის მსგავსად, ახალგაზრდებში მოსინჯავენ ძალებს.

მიუნხენში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 24-26 იანვარს გაიმართება, თანაც მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. რადგან სეზონის სტარტია, გერმანიაში მსოფლიოს უძლიერესი ჩუბინები იყრიან თავს. ცხადია, ამჯერადაც ასე იქნება. ამდენად, ქართველ მსროლელებს ევროპელებთან (და არა მარტო მათთან) გაჯიბრების და სპარინგის შესანიშნავი შანსი ეძლევათ. 24 იანვარს სალუქვაძე და ახალგაზრდები გავლენ ცეცხლის ხაზზე, 25-ში ქადაგიძე და ახალგაზრდები, ხოლო 26 იანვარს მხოლოდ უფროსები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ლაშა დიდია

◎ წყალბურთი

ეროვნულ ნაკრებს ვლადიმერ ისელიძე გაწვრთნის

საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელობამ საცურაო აუზ „ოლიმპიკში“ ახალი სეზონის დაწყების წინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც ფედერაციის პრეზიდენტმა დავით რურუამ წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე წარადგინა.

ჟურნალისტებთან შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე, ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ალექსანდრე ბითაძე და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ირაკლი კიკალიშვილი.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის წარდგენის შემდეგ მედიასთან საუბარი შეეხო თბილისში გასამართ ეროვნული და 19-წლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ეტაპებს. ეროვნული ნაკრები ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 4-7 აპრილს თბილისში დიდი ბრიტანეთის, სლოვაკეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს, 19-წლამდელთა ნაკრები კი 9-12 მაისს ასევე თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იბრძოლებს გერმანიის, ჰოლანდიის, მოლდოვასა და სლოვაკეთის ასაკობრივ გუნდებთან ერთად.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ძიუდო

ჭაბუკებს ცირეკიძე გაწვრთნის

ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე მცირე ხნის განმავლობაში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს ედგა სათავეში, მაგრამ ფედერაციაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ იგი უფუნქციოდ დარჩა. და აი, სახელოვანი ძიუდოისტი ფედერაციის ახალი პრეზიდენტის – დავით ქევხიშვილის ინიციატივით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ჩაუყენეს სათავეში. ცირეკიძეს ვაჟა ბალხამიშვილი და გიორგი რევაზიშვილი დაეხმარებიან. რაც შეეხება ჭაბუკთა უწინდელ მწვრთნელ გიორგი თენაძეს, იგი შეჯიბრებებისთვის მხოლოდ ქალთა გუნდს მოამზადებს.

ცირეკიძეს უამრავი პრობლემა ექნება მოსაგვარებელი, რადგან წლეულს დატვირთული სეზონი ელის: 21–23 ივნისს ტალინში ჭაბუკთა ევროპის პირველობაა, 13–29 ივლისს ჰოლანდიური უტრეხტი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, ხოლო 8–11 აგვისტოს მაიამიში მოზარდებისთვის მსოფლიოს პირველობაა დაგეგმილი. იმედია, ახალი მწვრთნელები სირთულეებს თავს წარმატებით გაართმევენ, მით უმეტეს, რომ სამივეს საამისოდ საკმაო გამოცდილება აქვს.

გივი გაგუა

◎ რალი

დაკარი 2013: პეტრანსელის მეთერთმეტე ტრიუმფი

ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ტრადიციული ავტორალი დაკარი დასრულდა. ორი კვირის წინათ პერუს დედაქალაქ ლიმაში დაწყებულ შეჯიბრებაში 448 მოტოციკლი და ავტომობილი ჩაერთო, მთავარი პრიზები კი გამოცდილმა პილოტებმა მოიპოვეს: ყველაზე პრესტიჟულ, ავტომობილის კლასში ფრანგმა სტეფან პეტრანსელმა და ჟან-პოლ კოტრემ იპირველეს, მოტომრბოლებს შორის კი საუკეთესო დრო ასევე ფრანგმა სირილ დეპრემ აჩვენა.

მოტოციკლეტის კლასში დეპრემ შარშან მოგებული ტიტული შეინარჩუნა. ისევე როგორც 2012 წელს, ფრანგმა კვლავ KTM 450-ით აჩვენა საუკეთესო დრო: 43 საათი, 24 წუთი, 22 წამი. მეორე ადგილი მისმა თანაგუნდელმა, პორტუგალიელმა რუბენ ფარიამ დაიკავა (43:25:05), მესამე კი ასევე KTM-ით მოასპარეზე ჩილელი ფრანსისკო ლოპესი იყო (43:32:10).

39 წლის სირილ დეპრემ მეცამეტედ იასპარეზა დაკარზე და მეხუთე ტიტული მოიპოვა. აქამდე მან 2005, 2007, 2010 და 2012 წლებში იმარჯვა. ამ ხუთი გამარჯვების გარდა მის აქტივში ამდენივე პოდიუმია: 2003, 2006, 2009 და 2011 წლებში მეორე იყო, 2004 წელს კი – მესამე. საერთო ჯამში მან დაკარის 31 ეტაპის მოგება მოახერხა.

დეპრეს ხუთი გამარჯვება ძალიან შთამბეჭდავია, მაგრამ საუკეთესო შედეგი მაინც არაა: 1991, 1992, 1993, 1995, 1997 და 1998 წლებში მოტოშეჯიბრება ექვსჯერ მოიგო ფრანგმა სტეფან პეტრანსელმა, რომელიც კარგა ხანია ავტომობილით ასპარეზობს და კვლავ იგებს.

2012 წლის დარად, პეტრანსელმა და ჟან-პოლ კოტრემ კვლავ ბრიტანული მინის სპეციალური მოდელით იასპარეზეს და ისევ გაიმარჯვეს. ფრანგებმა დისტანციის დაფარვას 38 საათი, 32 წუთი და 29 წამი მოანდომეს. სამხრეთაფრიკელი ჟინიელ დე ვილიერსის და გერმანელი დირკ ფონ ზიტცევიცის წყვილი (ტოიოტა) გამარჯვებულებს თითქმის საათით ჩამორჩა – 39:15:01. მესამე ადგილზე მინის რუსი პილოტები გავიდნენ: ლეონიდ ნოვიცკიმ და კონსტანტინ ჟილცოვმა ტრასა 40:01:01 საათში გაიარეს.

სტეფან პეტრანსელი დღეს უკვე დაკარის ლეგენდაა: სხვას არავის მოუგია რალი 11-ჯერ! მოტომრბოლთა შორის ხსენებული ექვსი ტრიუმფის გარდა, ფრანგმა ავტომობილების კლასში მეხუთედ გაიმარჯვა: 2004, 2005 და 2007 წლებში მან მიცუბიში პაჯეროთი აჩვენა საუკეთესო დრო, შარშან და წლეულს კი მინით. მოტოთი ასპარეზობისას პეტრანსელმა დაკარის 33 ეტაპი მოიგო, ავტომობილით კი მის ანგარიშზე უკვე 29 გამარჯვებაა.

კვადროციკლების კლასში არგენტინელმა მარკოს პატრონელიმ (იამაჰა) გაიმარჯვა - 49:42:42. მან თითქმის ორი საათით აჯობა ჩილელ იგნასიო კასალეს (იამაჰა) - 51:33:17. მესამე იამაჰას კიდევ ერთი პილოტი, პოლონელი რაფალ სონიკი იყო (52:59:31). ეს მარკოს პატრონელის მეორე ტრიუმფია – ის 2010 წელსაც იამაჰას მართავდა.

სატვირთო ავტომობილებში ჩემპიონის ტიტული რუსეთის კამაზმა დაიბრუნა. სახელგანთქმულმა კომპანიამ წლეულს ძალიან ძლიერი შემადგენლობა მიავლინა დაკარზე და შედეგიც საკადრისი მიიღო: მეორე-მესამე ადგილებიც კამაზის მძღოლებმა დაიკავეს - ედუარდ ნიკოლაევი პირველი იყო (39:41:43), აირატ მარდეევი – მეორე (40:18:53), ანდრეი კარგინოვი კი – მესამე (40:19:40).

დაკარის ავტორალი ოცდამეთოთხმეტედ გაიმართა, სამხრეთ ამერიკაში კი – ზედიზედ მეხუთედ. სამწუხაროდ, რბოლის ორგანიზატორებმა ტრაგედია ვერც წლეულს აიცილეს თავიდან: 11 იანვარს ჩილეს პოლიციის მანქანასთან შეჯახების შემდეგ ფრანგი მოტომრბოლი თომას ბურჟინი გარდაიცვალა. ტრაგედიამდე ის საერთო ჩათვლაში 68-ე ადგილზე იყო.

მანუჩარ გიორგაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეპიტაფია

გურამ საღარაძე

ქართულმა თეატრმა განიცადა დიდი დანაკლისი. გარდაიცვალა გამოჩენილი მსახიობი, სსრკ და საქართველოს, რუსთაველის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, საქართველოს სახალხო არტისტი **გურამ საღარაძე**.

გურამ საღარაძე დაიბადა 1929 წლის 12 იანვარს თბილისში. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში და მის სცენაზე გაატარა 60 წელი. იყო ე.წ. „შვიდკაცას“ უკანასკნელი წარმომადგენელი.



გურამ საღარაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა 50-60-იანი წლების რუსთაველის თეატრის გარდაქმნების რთულ პროცესში. იყო ახალი ესთეტიკური პრინციპების დანერგვისათვის ბრძოლის პირველ რიგებში, გამოირჩეოდა მხატვრული სიტყვის გრძნობით, გარდასახვის ოსტატობითა და პიროვნული კეთილშობილებით. თეატრში ჰქონდა მრავალფეროვანი რეპერტუარი, წარმატებით ასრულებდა დრამატულ და კომედიურ როლებს.

გურამ საღარაძის მიერ შექმნილ სახეებს, მათი ჟანრული სხვადასხვაობის მიუხედავად, აერთიანებდა მსახიობის შინაგანი გულწრფელობა, მხატვრული გემოვნება და სცენური კულტურა. გ. საღარაძე ყველგან იყო გამორჩეული ინტელიგენტი მსახიობი, რომელიც დიდი ოსტატობით ფლობდა მხატვრული სიტყვის ფენომენს. მისთვის „სიტყვა იყო პირველი“ — როგორც ბიბლიური მაგიური ძალა. ამიტომ მხატვრული კითხვის ოსტატობის გამო მიენიჭა რუსთაველის პრემია (1976).

მრავალსახოვანი იყო გურამ საღარაძის შემოქმედებითი სამყარო, რომლის შექმნასაც მან მთელი ცხოვრება შესწირა. თეატრის სცენაზე და ეკრანზე გააცოცხლა სხვადასხვა ეპოქების, ეროვნებებისა და ასაკის გმირთა სახეები, რომლებიც ყოველთვის ჩვენი თანამედროვენი იყვნენ თავიანთი გრძნობებითა და ფიქრებით, რის გამოც ისინი ახლობელი და გასაგები ხდებოდნენ ფართო აუდიტორიისათვის. მას პირველი ყველაზე დიდი წარმატება ხვდა მილან სტიბორის როლში მ. თუმანიშვილის საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლში — პ. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“. მსახიობმა სტიბორის როლში გვიჩვენა შინაგანი განცდის სიღრმე, ელეგანტურობა და ნევრალგენიური განწყობილების მხატვრული მოტივაცია.

გ. საღარაძის შემოქმედებამ ახალი სახეებით გაამდიდრა ქართული სამსახიობო ხელოვნება. სახეთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის ჰეილი (ა. მილერის „სეილემის პროცესი“), სამი როლი (თავადი ყაზბეგი, ეფრეიტორი, ბერი) სახელგანთქმულ სპექტაკლში — ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, შექსპირული სახეები: მასხარა, კეისარი, ბელჩი, პირველი ალქაჯი („მეფე ლირი“, „იულიუს კეისარი“, „მეთორმეტე ღამე“, „მაკბეტი“ და კლავდიუსი — „ჰამლეტი“), „თავისუფალ თეატრში“: დურსუნი, ჭეიშვილი (ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, „საბრალდებო დასკვნა“), მინდია (კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“), გაბრო (ი.ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“), დავითი (ი. სამსონაძის „იქ, სადაც ღვარად მოედინება“), დრაკონი (ე. შვარცის „დრაკონი“), იაზონი (ჟ. ანუის „მედეა“), გრიგოლი („მოხუცი ჯამბაზები“), კუნტი (ა. სტრინდბერგის „სიკვდილის როკვა“), უჩა გამრეკელი (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“), გენერალი ბერდოხანი (შ. დადიანის „გუშინდელნი“), და სხვა, 100-ზე მეტი როლი შეასრულა. მათ შორის კინოროლებიდან გამოირჩეოდა: მირზა („ბაში-აჩუკი“), იბრაჰიმ („მამლუქი“), ნოინი („დემეტრე II“), ირაკლი, ადვოკატი („დათა თუთაშხია“) და სხვა. მონაწილეობდა ტელესერიალ („სახლი ძველ უბანში“, კ/ფ „მიდიოდა მატარებელი“).

გურამ საღარაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი მრავალი წლის მანძილზე, სიცოცხლის ბოლომდე დაკავშირებული იყო თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, როგორც მხატვრული კითხვის პედაგოგი, იყო პროფესორი და კათედრის გამგე, სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებს ასწავლიდა მხატვრულ კითხვას, აწყობდა პოეზიის საღამოებს, სადაც თავის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდა და პრაქტიკულად უჩვენებდა ოსტატობის კლასს. მისი თაოსნობით უნივერსიტეტში გაიხსნა ლიტერატურული თეატრი, სადაც კითხულობდა ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“ და სხვა ნაწარმოებებს, ყველას ხიბლავდა მისი განუმეორებელი ტემბრი და გულწრფელი ემოცია. გამოდიოდა სიმფონიურ ორკესტრთან, კაპელასთან, ვოკალურ ანსამბლებთან ერთად და ქმნიდა დაუვიწყარ პოეტურ განწყობილებას.

გ. საღარაძე დაჯილდოებული იყო კ. მარჯანიშვილის პრემიით.

2006 წელს რუსთაველის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში მუდამ დარჩება გურამ საღარაძის შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა.

საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული მსახიობის **გურამ საღარაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და მთელ საქართველოს. გურამ საღარაძე ფონდ „იავნანას“ ერთ-ერთი პირველი მხარდამჭერი და ჩვენი აქციების აქტიური მონაწილე გახლდათ. საკუთარი შემოქმედებითი საღამო მან მთლიანად ფონდის მზრუნველობის ქვეშ მყოფ პატარებს მიუძღვნა, მისი თანადგომით 2005 წლიდან მოყოლებული მრავალი ბავშვი დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს.

ფონდი „იავნანა“

ქ. თბილისის „დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი“ ღრმა მწუხარებას გამოხატავს თვალსაჩინო მეცნიერის, არაჩვეულებრივი ადამიანის და საზოგადო მოღვაწის, წლების მანძილზე პედიატრიაში ცენტრის კონსულტანტის, ბატონი

ირაკლი ციციშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის შესანიშნავ ოჯახს: მეუღლეს ქალბატონ დოდოს, შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მედიკოსი, აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი, საქართველოს გენოფონდის ღვაწლმოსილი დამცველი

ირაკლი ციციშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ეთერ ფალიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხრებას გამოთქვამს ახლობლის, ბატონ

ირაკლი ციციშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის მეუღლეს და შვილებს.

ავთანდილ, ელენე, მარინე, მაია კვეზერელი-კოპაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, ქართული პედიატრიული სკოლის თვალსაჩინო და უხუცესი წარმომადგენელი, ექიმთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ერთგული, უანგარო გუშაგი, ჭეშმარიტად სახალხო ექიმი, დიდი ქველმოქმედი, ძირძველი თბილისელი, პროფესორი

ირაკლი ციციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

მეუღლე ზაირა კობალაძე, შვილები ქეთევანი, ვალერი, შვილიშვილები მარიამი, ზურაბი, თეონა, სიძეები ალექსანდრე, ზურაბი, რძლები ქეთევანი, ეკა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კარლო ივანეს ძე ტყეშელაშვილი

პანაშვიდი 22, 23 I, 16 სთ. გამოსვენება 24 I, 14 სთ. ვანი, სოფელი ბზვანი.

მელორ, მერაბ, მანონი, მარიამ ტყეშელაშვილები ოჯახებით იუწყებიან

კარლო ტყეშელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 I, 16 სთ. გამოსვენება 24 I, 14 სთ. ვანი, სოფელი ბზვანი.

ვიტალი ხაზარაძე, ელიზბარ ლომინაძე, დემურ გადელია, თენგიზ კალანდაძე, პეტრე ბერაია, იოსებ გადელია მწუხარებით თანაუგრძნობენ მელორ ტყეშელაშვილს ძმის

კარლო ტყეშელაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ მაჩაიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს მელორ ტყეშელაშვილს და ოჯახს

კარლო ტყეშელაშვილის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბუნებრივ ნივთიერებათა ქიმიური მოდიფიკაციის ლაბორატორიის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

მადონა სიხარულიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

გაცნობებთ, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 9 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში ნაცვლად 27 თებერვლისა, შპს „მარაბდა-კარწახის“ მიერ „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ახალქალაქ-კარწახის“ უბნის სადგურ კარწახიდან 693-მეტრიანი კორექტირებული ტრასისა და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე გამავალი 1830-მეტრიანი გვირაბის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის განხილვა მოხდება 2013 წლის 14 მარტს.

◎ ინფორმაცია

აჭარის პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული დააკავა

აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული რომან შ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში მცხოვრები, 1986 წელს დაბადებული მანუჩარ დოლიძე, ამავე რაიონის სოფელ ახალშენში, ნათესავთან სტუმრად იმყოფებოდა. საღამოს, დაახლოებით, 18:00 საათზე, იმ სახლთან, სადაც დოლიძე იმყოფებოდა, რომან შ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, რამდენიმე თვითმხილველის თვალწინ, ის მუცლის არეში დანით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

შსს-ს ცნობით, ბრალდებული, მომხდარიდან რამდენიმე საათში, აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე დააკავეს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაიჯესტი

პაული, საბრალო პაული...

თუ ვინმე ფიქრობს, რომ რვაფეხა პაულის წინასწარმეტყველებები, რომელმაც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ყველა შეხვედრის შედეგი გამოიცნო, უბრალო დამთხვევები იყო, კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერთა სახით მას სერიოზული ოპონენტები ჰყავს.

ცოტა ხნის წინათ მკვლევარებმა, რომლებიც შინაურ ცხოველებს აკვირდებოდნენ, დაამტკიცეს, რომ ცხოველებს წინასწარმეტყველების უნარი და ინტუიცია აქვთ. აღმოჩნდა, რომ ისინი გრძნობენ, როცა მათ პატრონებს საფრთხე ემუქრებათ. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის რუპერტ შელდრეკის კვლევითმა ჯგუფმა ოთხი ათასი სიტუაცია გააანალიზა. აი, ზოგიერთი მათგანი, რომელიც ბოლო ნახევარ წელიწადში მოხდა.

ინგლისში კოკერ-სპანიელი ჯერსი თავის პატრონ ტომ ოუენს ფეხში იმ დროს ეცა, როცა იგი მეგობართან წასასვლელად ემზადებოდა, რომელმაც პატარა კერძო თვითმფრინავით საფრენად დაპატიჟა. ამასთან, ჩვეულებრივ მშვიდი ძაღლი წკმუტუნებდა და იღრინებოდა. მისტერ ოუენი იძულებული გახდა სტუმრობა გადაედო და ექიმისთვის მიემართა — დილით კი ცნობილი გახდა, რომ ის პა-

ტარა თვითმფრინავი კლდეს შეასკდა, მფრინავი დაიღუპა...

მისის დონა პფაიპერი ლონდონის მახლობლად სოფელში მანქანით ბრუნდებოდა, მისი კატა ლესი კი უკანა დასაჯდომზე თვლემდა. უცბად კატას ბეწვი აეჯაგრა, პატრონს შეახტა და ხელზე უკბინა. შეშინებულმა ქალმა მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა და ამ დროს მის წინ გზაზე უზარმაზარი ხე დაეცა...

მეცნიერები ასევე გააოცა ორიოდე თვის წინათ ამერიკის ქალაქ როკფორდში მომხდარმა შემთხვევამ. 40 წლის ჯერი ლუტერს ფეხის ცერა თითი გაუმიზეზდა. კაცს ექიმების პანიკურად ეშინოდა, ამიტომაც ცოლისთვისაც კი არაფერი გაუმხელია, ვიდრე თითი იმდენად არ დაუსივდა, რომ ფეხსაცმელსაც ვეღარ იცვამდა. ერთ ღამესაც კაცმა საშინელი ტკივილისგან გაიღვიძა — მისმა ტერიერმა ვილიმ... სწორედ ის თითი მოაჭამა. მერე ექიმებმა დაადგინეს, რომ ძაღლს პატრონი განგრენისგან გადაურჩენია, რომელსაც აუცილებლად ფეხის მოკვეთა მოყვებოდა...

მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ცხოველი-წინასწარმეტყველი, რაღა თქმა უნდა, „საფეხბურთო ორაკლი“ რვაფეხა პაულა იყო. იგი თავის მყუდრო აკვარიუმში ორ წელზე მეტი ხნის წინათ, 2010 წლის 26 ოქტომბერს მოკვდა. ოკეანარიუმის თანამშრომელთათვის პაულის სიკვდილი ნამდვილ ტრაგედიად იქცა, რადგან შემოსავლის დიდებული წყარო დაკარგეს. ამიტომაც მათ აიღეს და შიგ ოკეანარიუმში რვაფეხას ძეგლი დადგეს: ესაა უზარმაზარი ფეხბურთის ფერადი ბურთი, რომელიც ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების დროშებითაა მორთული. ბურთს ზევიდან რვაფეხა აზის, მის შიგნით საკანში კი ხელით ნაკეთი ოქროს ურნაა, რომელშიც... პაულის ფერფლია!

გაიტაცეს გიულჩატაი, გაიტაცეს!...

ყოველ წელს ყირგიზეთში 14-16 ათას ქალიშვილს... იტაცებენ და ამ გზით ქორწინებათა მთლიანი რიცხვის 25 პროცენტზე მეტი რეგისტრირდება! ამ ვითარების გამომწვევ მიზეზთა შორის, პირველ ყოვლისა, ასახელებენ სასიძოს მიერ ქალის მშობლებისგან უარის მიღების შიშს და ყალიმზე (საპატარძლოს გამოსასყიდზე) ეკონომიის გაკეთების სურვილს, რომელიც 3-დან 35 ათას დოლარამდე ფარგლებში მერყეობს.

არადა, ამის გამო ქვეყანაში შეშფოთებას გამოთქვამენ, რადგან ბოლო წლებში გახშირდა სწორედ გატაცებულ საპატარძლოთა თვითმკვლელობების შემთხვევები — ამ საშინელი გზით ქალიშვილები გადმონაშთის მიმართ თავიანთ პროტესტს გამოხატავენ. ყირგიზეთის ომბუდსმენის აპარატში ამასთან დაკავშირებით აცხადებენ, რომ ქალების გატაცებას ეროვნულ ტრადიციებთან საერთო არაფერი აქვს და ხაზს უსვამენ, რომ ძირითადი მოტივაცია ეკონომიის გაწევაა. აღნიშნავენ ასევე იმასაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ქალის გატაცება ისჯება, დაზარალებული ქალიშვილები შურისძიების, სახელის გატეხვისა და გაკიცხვის შიშით მილიციას არ მიმართავენ.

ქალი ნარნარი სიარულით იცნობა

ჩასახვისთვის მზად მყოფი ქალი, თურმე... სიარულით იცნობა — ესაა გერმანელ მეცნიერთა დასკვნა, რომლებმაც დაადგინეს, რომ მამაკაცები (ქვეცნობიერად!) ქალებს ფერტილობის პიკზე ყოფნის დროს არჩევენ.

— ცხიმის დაგროვება ორგანიზმში ორი ტიპისა შეიძლება იყოს: ქალური (თეძოებსა და დუნდულებზე) და მამაკაცური (მუცელზე, ნიკაპზე, კისერსა და

გვერდებზე) — იგი ქალური და მამაკაცური ჰორმონების შეფარდებაზეა დამოკიდებული, — აცხადებენ ექიმი-სექსოლოგები.

მათი თქმით, თუკი მამაკაცი სიარულის დროს გამომწვევად ნარნარ ლამაზ თეძოებს ხედავს, მაშასადამე მანდილოსნის ორგანიზმში ქალური ჰორმონები ჭარბობენ, რაც ოპტიმალურია შთამომავლობის ყოლისთვის. ამასთან, არჩევისას არანაკლებ მნიშვნელოვანია წელი — მისი მოცულობა გაზრდილი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ნიშანია.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაყვინოდეთ ვახუნელებთან

ერეკლე მეორის საზოგადოება ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადარჩენას ითხოვს

ერეკლე მეორის საზოგადოება, ახალ ხელისუფლებას, წიწამურში ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღდგენის მოთხოვნით მიმართავს. საზოგადოების ინიციატივით კვირას წიწამურში, ილიას ძეგლთან აქცია მოეწყო, რომელსაც ყოფილი პარლამენტარი პეტრე მამრაძე და უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი თეიმურაზ ქორიძე ესწრებოდნენ. „თუ ალპინისტური მონაცემები არ გაქვს, ძეგლამდე ვერც მიხვალ, ამასთან, დანგრეულია თავად ძეგლი“, — ამბობს ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძე.

„ახალი თაობა“

ახალი ერგნეთის ბაზრობა — ახალგორში

ახალგორში, დე ფაქტო საზღვართან ახლოს, ადგილობრივების თქმით, შესაძლებელია, დიდი სავაჭრო ობიექტი გაიხსნას, რომელმაც, მათივე ინფორმაციით, ერგნეთის ბაზარი უნდა ჩაანაცვლოს. საუბარია სოფელ ოძისში არსებულ ქართულ ბლოკ-პოსტსა და ამავე სოფელში მდებარე რუსულ გამშვებ პუნქტებს შორის არსებულ ტერიტორიაზე, სადაც დღეს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საზღვარია. სწორედ აღნიშნულ ბლოკ-პოსტებს შორის, ნეიტრალურ ზონაში იგეგმება სავაჭრო ობიექტის გახსნა, სადაც თბილისიდან შესული პროდუქციაც გაიყიდება და ცხინვალიდან და ვლადიკავკაზიდანაც შემოტანილიც.

„რეზონანსი“

„მზად ვარ ხვალვე დავიწყო ორივე ძვეყნის ტერიტორიაზე არსებული საკამათო ეკლესიების რესტავრირება“

— ამბობს რადიო „თავისუფლების“ სომხეთის წარმომადგენელთან საუბარში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, — უკვე დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები ორი მათგანისა, რომელზეც სომხები საუბრობენ... მოხარული ვიქნები თუ ეკლესიები აღდგება, მიუხედავად იმისა, ვის ეკუთვნის ის, სომხეთს თუ საქართველოს... რამდენიმე დღეში ჩვენ შევქმნით ორივე მხარის წარმომადგენლობით კომისიას, დავიწყებთ ამ ძეგლების აღდგენას, პარალელურად კი დავადგენთ მათ წარმომავლობას.

„კვირის პალიტრა“

ყველას აძვს უფლება, იცოდეს, რას ჭამს!

საქართველოს ახალი მთავრობა, უფრო ზუსტად კი გარემოს დაცვის სამინისტრო, უახლოეს ხანში პარლამენტში დასამტკიცებლად წარადგენს კანონპროექტს, რომლითაც საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დარეგულირდება გენმოდიფიცირებული პროდუქციის ყბადაღებული საკითხი. როგორც მწვანეთა პარტიის ლიდერი, პარლამენტის წევრი გიორგი გაჩეჩილაძე ამბობს, საქართველოში გენმოდიფიცირებული თესლისა და ნერგის შემოტანა კანონით აიკრძალება და საქართველო აღარ იქნება გენმოდიფიცირებული საწამლავის სანაგვე.

„ასავალ-დასავალი“

როგორ განაწილდება კახეთში სტიქიისგან დაზარალებული ოჯახებისთვის გამოყოფილი თანხა?

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში უკვე დათვალეს ზარალი და იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის გამო კომპენსაციას მიიღებენ. ეს 28500 ოჯახია. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპენსაციის მინიმალურმა ოდენობამ, შესაძლოა, 100 ლარი შეადგინოს, მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა, როგორც ამბობენ, 100 ლარი მაინც პირობითია, რადგან შეიძლება იყოს რამდენიმე ოჯახი, რომელიც 100-150 ლარს მიიღებს. ამასთან, არის ოჯახები, რომლებიც 7-8 ათას ლარს მიიღებენ. კომპენსაციების გაცემას 6-7 კვირა დასჭირდება.

„ძრონიკა“

ანეკდოტები

ძვეყანაში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ჩინოვნიკები მუდამ თავიანთი თავით იწყებენ.

* * *

— ჩემი ცოლი საყიდლების ნამდვილი გიჟია, — ეწუწუნება ერთი ოლიგარქი მეორეს.

— რა, ერთთავად ტანსაცმელსა და ძვირფასეულობებს ყიდულობს?

— უფრო უარესი: მაღაზიებს.

* * *

— მორჩა, დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა, ავარია გვაქვს... ჩამოდით, ავტობუსი მეტს არ წავა... ეი, კაცო, რას შვრები! რა ჯანდაბისთვის ტეხავ მინას?

— რას მიყვირი, კაცო, ამ მინაზე ხომ აწერია, ავარიის დროს ჩაქუჩით გატეხეთო?

* * *

— მომისმინე, ნიკა, თუ ძმა ხარ, კროსვორდს ვხსნი. ასეთი კითხვაა — „ადამიანი, რომელიც ვალდებულია, მთელი თავისი ფული სხვა ადამიანს მისცეს და სანაცვლოდ მხოლოდ საჭმელი მიიღოს“. ვინ არის ის?

— მონა.

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ ჩემმა ცოლმა ჩემი სახელი ჩაწერა „მიხო“.

* * *

სისულელეს ძალიან უყვარს სიმამაცედ შენიღბვა.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com